140/1952/3

პიონერი

9
სექტემბერი
1952

სკოლისკენ მიგვიხარია...

რეკავს ზარი!

ეს ხმა მშობლის გულის ხმაა,
მისი გულის ნატვრა არის:
— ყმაწვილებო, სწავლისათვის
იყავით მზად! — ამბობს ზარი.

ეს ხმა ერთობის ქარის ქროლვას,
განთიადზე ფრთას რომ გაშლის,
მშობლიური ხმა წკრიალებს
ჩვენი სკოლის ზარის ხმაში.

ეს ხმა, — ქვეყნად გამარჯვების
სიმღერები რომ გაისმის, —
ნაწილია იმ სიმღერის,
ერთი ჰანგი არის მისი!

ეს სამშობლოს ბრძანებაა,
მასწავლებლის ტკბილი რჩევა,
რეკავს ზარი, რეკავს ზარი,
ხმა სიმღერად მიირხევა!

რეკავს ზარი, რომ ვეახსოვდეს,
რომ გვესმოდეს ჩვენი ვალი:
— ყმაწვილებო, სწავლისათვის
იყავით მზად! — ამბობს ზარი.

ალეკო შენგელია

* * *

სიმღერა

სექტემბრის დილა ელვარებს
და გვმატებს გამბედაობას,
დავიპყრობთ ცოდნის მწვერვალებს
ნორჩ ლენინელთა თაობა.

საამოდ რეკენ ზარები,
ჩვენი წკრიალა ზარები,
გაბრწყინვებული თვალებით
სკოლისკენ მივეჩქარებით.

იქ ჩვენს მეგობრებს შევხვდებით,
ერთმანეთს გადავეხვევით,
გველოდებიან მერხები,
გველოდებიან ვერხვები...
გველოდებიან ტოლები
ერთმანეთს დანატრულები,
დასვენებული გონებით,
ლაღი და ფრთაშესხმულები.

სკოლის ეზოში გავჩნდებით
მზისაგან დახატულები,
გახარებული ბავშვები
ამღერებული გულებით.

სექტემბრის დილა ელვარებს
და გვმატებს გამბედაობას,
დავიპყრობთ ცოდნის მწვერვალებს
ნორჩ ლენინელთა თაობა.

რევაზ მარგიანი

პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 9
სექტემბერი, 1952 წ.
წელიწადი XXVI



პავლიკ მოროზოვი

ნახატი კ. მახარაძისა

საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

15-18 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა საქართველოს მშრომელების არნახული პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

ყრილობამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში—დიდი ყურადღებით მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მოხსენება.

ამხ. ა. ი. მგელაძემ თავის მოხსენებაში ღრმა ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში და დასახა ახალი ამოცანები მთელი ჩვენი საქმიანობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამხ. ა. ი. მგელაძემ მოიყვანა მრავალი მჭევრმეტყველური ფაქტი, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველოს მშრომელები წარმატებით იბრძვიან რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანი წვლილს შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

„საქართველომ,—თქვა თავის მოხსენებაში ამხ. ა. ი. მგელაძემ,—საბჭოთა ხელისუფლების დროს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის მეოხებით, დიდი რუსი ხალხის დახმარების მეოხებით, მოიპოვა თავისი სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა, სოციალისტური სახელმწიფოებრიობა. მან მიაღწია თავისი ეკონომიკის უმაგალითო აღმავლობას, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური თავისი კულტურის აყვავებას“.

ყრილობის მონაწილენი მიუთითებდნენ, რომ რესპუბლიკის მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველ ხელმძღვანელობას სერიოზული შეცდომები რომ არ დაეშვა პარტიულ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების უხეშმა დარღვევამ, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფამ, კადრების შერჩევის, განაწილებისა და სწავლების ლენინურ-სტალინური პრინციპების დავიწყებამ, რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში შეჰქმნა მუშაობის ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების, პარადული კეთილდღეობისა და ობივატელური თვითდამშვიდების ვითარება.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა განახლებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა, პირადად ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულებისათვის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ საფუძველზე ახალ სიმაღლეზეა აყვანილი მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, ფართოდ გაჩაღდა თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, გამახვილდა პოლიტიკური სიფხიზლე, უზრუნველყოფილია შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცე დაცვა, პარტიულ, სამეურნეო და სხვა სამუშაოზე დაწინაურებულია ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული და უნარიანი ბევრი მუშაკი.

„ჩვენ მიერ მოპოვებული წარმატებანი იმას როდი ნიშნავს,—თქვა ამხ. ა.ი. მგელაძემ, —რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია. პირიქით, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ პარტიის გადაწყვეტილებანი, ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიურ ამხანაგ სტალინის მითითებანი“.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ ყურადღება გაამახვილა სახალხო განათლების საკითხებზეც.

ამხ. ა. ი. მგელაძემ ილაპარაკა საკავშირო მთავრობის ნებართვით თერთმეტწლიანი სწავლების შემოღების შედეგად სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნისა და საერთო კულტურის დონის ამაღლების შესახებ. ამასთანავე ერთად ამხ. ა. ი. მგელაძემ ახალი ამოცანები დასახა რუსული ენის, მშობლიური ენისა და უცხო ენების სწავლების დარგში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რუსული ენის სწავლებას სოფლის სკოლებში. უკეთესად უნდა მოეწყოს ბუნებისმეტყველების საგნების სწავლებაც. ამხ. ა. ი. მგელაძემ თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა სკოლებში აკადემიური წარმატების ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცების, ახალი სკოლების მშენებლობის საკითხებს.

„საჭიროა ამ საქმეში,—თქვა ამხ. ა. ი. მგელაძემ,—სკოლებსა და მასწავლებლებს დიდი ქმედითი დახმარება გაუწიონ კომკავშირულმა და პიონერთა ორგანიზაციებმა. ეს ორგანიზაციები მთელ თავიანთ მუშაობას უნდა წარმართავდნენ მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირით, ეხმარებოდნენ მათ მოსწავლეთა სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში“.

ამხ. ა. ი. მგელაძემ მიუთითა სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შემდგომი გაუმჯობესებისათვის მუშაობის გაძლიერებისაკენ. მათი შინაარსი და მიზანდასახულობა უნდა შეესაბამებოდეს სწავლების პოლიტექნიზაციის ამოცანებს, მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კომუნიზმის მშენებლობის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებსა და პრაქტიკას. ამხ. ა. ი. მგელაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა აგრეთვე ტექნიკური მეცნიერებისადმი ახალგაზრდობის ინტერესის გაძლიერება და ტექნიკურ გამომგონებლობაში ახალგაზრდობის წახალისება.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობამ განიხილა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტები საკ. კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობა ჩატარდა სრული ერთსულოვნების ვითარებაში. დელეგატების სიტყვებში გამოხატული იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგება, უსაზღვრო სიყვარული და მადლობა საბჭოთა მთავრობისადმი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ყრილობამ აჩვენა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით იბრძვის თავისი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობაზე მიდის, როგორც მისი ერთ-ერთი ერთგული, მებრძოლი რაზმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არკადი გაიდარი

მხატვარი კ. მახარაძე

P. B. C.*

დაგორდა დიმკა ჩალაზე და დაიწყო ანცობა, თან თავს იცავდა შმელისაგან, რომელიც გაშმაგებით უტევდა, მაგრამ მალე წამოდგა, ცოტა არ იყოს შეშფოთებული. მას მოეჩვენა, რომ ხელეურები ძველებურად არ აწყვია და როგორღაც სხვანაირადაა არეულ-დარეული.

„ნუთუ ბიჭებიდან რომელიმემ მიაგნო? აი ქაჯები!“ და იგი მივიდა, რომ შეემოწმებინა, ხომ არ აღმოაჩინა ვინმემ ის ადგილი, სადაც სანოვაგე იყო შენახული. მოაფათურა ხელი — არა, აქაა! გამოიღო ქონი, ასანთის ღერები, პური. შეჰყო ხელი ხორცისათვის — არაა!

— ოჰ, ქაჯები! — წყრომით თქვა მან. — ეს ალბათ ჟიგანმა შესანსლა, თორემ, ბიჭებიდან რომ ყოფილიყო ვინმე, ყველაფერს ერთბაშად აიღებდა.

მალე ჟიგანიც გამოჩნდა. მან ის იყო ისადილა, ამიტომ საუკეთესო გუნებაზე იყო და უდარდელი სტვენით მოდიოდა.

— შენ შეჭამე ხორცი? — შეეკითხა დიმკა და გულმოსულად დააშტერდა.

— ვჭამე! — მიუგო მან. — გემრიელი იყო...

— გემრიელი იყო! — შეუტია გაგულისებულმა დიმკამ. — მერედა ვინ მოგცა ნება? სადღაა ჩვენი პირობა, საგზლად რაღა დაგვრჩა? აი, გთხლიშავ თავში და მაშინ იქნება გემრიელი!..

ჟიგანი სახტად დარჩა.

— კი, მაგრამ... მე ხომ სახლში ვჭამე სადილად. ონუფრიხას გული მოულბა და კომბოსტოს სუპიდან ერთი ნაჭერი ამომიღო. დიდი ნაჭერი იყო...

— აქედან ვინღა აიღო?

— არაფერი ვიცი.

— დაიფიცე!

— ღმერთმანი! აი, მიწა გამისკდეს ამ წუთში, თუ ამელოს.

იმის გამო, რომ ჟიგანს იმავე წუთში მიწა არ გაუსკდა, თუ იმიტომ, რომ ბრალდებას არაჩვეულებრივი სიცხარით უარყოფდა, დიმკამ გადაწყვიტა, რომ გამონაკლისის სახით ჟიგანი ამჯერად არ სტყუოდა.

დიმკამ ჩალას თვალი მოავლო და შმელს დაუძახა, თან წნელს წაეტანა.

— შმელ, აბა მოდი აქ!

მაგრამ შმელს არ უყვარდა, როცა მას ასე ელაპარაკებოდნენ; ჩალიჩის წეწვას თავი მიანება, კუდი დაუშვა და მაშინვე უგანა.

— მაგისი შესანსლულია! — აღშფოთებით დაუდასტურა ჟიგანმა. — რა მსუქანი ნაჭერი იყო!

მთელი მარაგი უფრო ზევით გადაიტანეს, ფიცარი მიადეს და აგური მიაყუდეს.

შემდეგ დიდხანს იწვნენ, ეხატებოდათ მომავალი ცხოვრების წარმტაცი სურათები.

— ტყეში, კოცონთან ღამის თევა... კარგია!

— ოღონდ ბნელა ღამით. — სინანულით შენიშნა ჟიგანმა.

— მერე რა რომ ბნელა? თოფები გვექნება, ჩვენ თვითონაც...

— რომ დაგვხოცონ? — დაიწყო ისევ ჟიგანმა და სერიოზულად დაუმატა: — მე, ძმაო, არ მიყვარს სიკვდილი.

— არც მე, — გამოტყდა დიმკა, — თორემ რაა ომოში... როგორც ესენი, — და მან თავი იქითკენ გადაიქნია, სადაც სიბნელეში ოდნავ მოჩანდა გადაღრეცილი ჯვარი.

ამ მოგონებაზე ჟიგანი მოიბღუნძა და იგრძნო, რომ საღამოს ჰაერი როგორღაც აგრილდა.

მაგრამ შეეცადა თავი ყოჩაღად ეჩვენებინა, და გულგრილად მიუგო:

— ჰო, ძმაო... ჩვენთან ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა... — და შეწყვიტა, ვინაიდან შმელმა, რომელიც დიმკას გვერდით იწვა, თავი წამოსწია, ყურები ცქვიტა და გულმოსულად და გამაფრთხილებლად დაიღრინა.

— რაო, შმელიკ, რა მოგივიდა? — შეშფოთებით შეეკითხა დიმკა და თავზე ხელი გადაუსვა.

შმელი დაჩუმდა და თავი ისევ თათებში ჩარგო.

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 8.

— თაგვების სუნი სცემს, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ჟიგანმა, — განგებ დაამთქნარა და დაუმატა: — შინ წასვლის დროა, დიმკა.

— ახლავე. ჰო, აბა, რა ამბავი მოხდა თქვენთან?

მაგრამ ჟიგანს უკვე აღარ ჰქონდა რაიმე ამბის თავი, და ამას გარდა, ის, რისი მოჩმახვაც უნდოდა, უკვე გაუქრა თავიდან.

— წავიდეთ, — დაეთანხმა დიმკა, გახარებული იმით, რომ ჟიგანმა თხრობის გაგრძელება არ ისურვა.

ადგნენ. შმელიც ადგა, მაგრამ მაშინვე არ წავიდა, იქვე ჩალის გვერდით შეჩერდა და ისევ შეშფოთებით დაიღრინა, თითქოს სიბნელიდან ვინმე ახელებდა.

— თაგვების სუნი სცემს! — გაიმეორა ახლა დიმკამ.

— თაგვების? — შემკრთალი ხმით მიუგო ჟიგანმა, — მაგრამ რატომ წინათ არ სცემდა თაგვების სუნი? — და ხმადაბლა დაუმატა:

— ცივა რაღაც. მოდი გავიქცეთ, დიმკა!

— ის ბოლშევიკი, აი, რომ გაიქცა, სადღაც აქაა სოფლის ახლოს.

— შენ საიდან იცი?

— ასე ვფიქრობ! მე ახლახან ონუფრიხამ გორპინასთან გამაგზავნა ნახევარი ჰიქა მარილის სასესხებლად. გორპინასთვის ამას წინათ ღობიდან პერანგი მოუპარიათ. მივედი, წინკარიდან მესმის, ვიღაც ილანძღება: „...და მოაგდოო, — ამბობს, — ვიღაცამ პერანგი ლატანის ძირში. მე და ეგორიხა ვათვალიერებთ: ვხედავთ, დახეულია, ცოტათი მაინც ყოფილიყო, თორემ სულ ერთიანად“... ბაბუა ზახარმა კი უსმინა, უსმინა და ეუბნება: „ოხ, გორპინა...“

აქ ჟიგანი მრავალმნიშვნელოვნად შეჩერდა, თან დიმკას უყურებდა, და მხოლოდ მაშინ, როცა დიმკამ მოუთმენლად შეუძახა, ხელახლა დაიწყო:

— ბაბუა ზახარი კი ეუბნება: „ოხ, გორპინა, სჯობს ენას კბილი დააჭირო“. ამ დროს მეც შევედი ქოხში. ვხედავ სკამზე დევს მთლად სისხლში მოსვრილი დახეული პერანგი. გორპინამ როგორც კი დამინახა, იმავე წუთში ზედ დააჯდა პერანგს და უბრძანა: „მიეცი მაგას, მოხუცო, ნახევარი ჰიქა“. თვითონ კი არ დგება. მე კი რა, მე ისედაც დავინახე. მაშ ასე, გავიფიქრე, ეს ბოლშევიკს მოხვედრია ტყვია.

ერთხანს სდუმდნენ, ფიქრობდნენ მოულოდნელად ყურმოკრულ ახალ ამბავზე. ერთს თვალები მოეჭუტა და გაუშტერდა უმოძრაოდ, სერიოზულად. მეორეს კი აუთამაშდა და გაუბრწყინდა.

და დიმკამ თქვა:

— აი, რა, ჟიგან, სჯობს შენც გაჩუმდე. წითლები ისედაც ბევრი დახოცეს ჩვენი სოფლის ახლოს, და ყველანი ცალ-ცალკე, სათითაოდ.

* * *

ხვალ დილისათვის იყო დანიშნული გაქცევა. დიმკა მთელი დღე აფორიაქებული იყო. უცაბედად გატეხა ფინჯანი, შმელს კუდზე ფეხი დაადგა და ბებიას, რომელიც ქოხში შემოდიოდა, კინაღამ ხელიდან გააგდებინა მაწვნიანი კოჭობი, რისთვისაც გოლოვენისაგან მაგარი სილა მიიღო.

დრო კი მიდიოდა. გაიარა შუადღემ, სადილობამ. დადგა საღამო.

ბოსტანში, ღობესთან, ანწლის უკან დაიმალნენ და დაიწყეს ლოდინი.

ისინი ნაადრევად ჩასაფრდნენ. ეზოში კიდევ დიდხანს დადიოდა ხალხი. ბოლოს მოვიდა გოლოვენი, დედამ დაუძახა ტოპს და პარმაღიდან დაიყვირა:

— დიმკა! დი-მუ-შკა! სად დაიკარგე?

„ვახშმად მეძახიან“, გადაწყვიტა მან, მაგრამ ხმის გაცემა რასაკვირველია არც უფიქრია. დედა ერთხანს იდგა და წავიდა.

ცოტა მოიცადეს. მალულად გამოვიდნენ. საკუჭნაოს კედელთან გაჩერდნენ. სარკმელი მაღლა იყო. დიმკა მოიხარა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო. ჟიგანი ზურგზე შეადგა და სარკმელში ფრთხილად შეჰყო თავი.

— მალე! ქვის ზურგი ხომ არა მაქვს.

— ძლიერ ბნელა, — ჩურჩულით მიუგო ჟიგანმა; კარდალას დიდი გაჭირვებით გამოსდო ჯოხი, თავისკენ მოსწია და ჩამოხტა.

— არის!

— ჟიგან, — შეეკითხა დიმკა, — ძეხვი სადღა იყო?

— იქვე, გვერდით ეკიდა, — გავიქცეთ ჩქარა!

მარჯვედ გახტნენ გარეთ. ღობეზე რომ გადაძვრნენ, გაახსენდათ, რომ კედელთან კაუჭიანი ჯოხი დარჩათ. დიმკა დაბრუნდა. დაავლო ჯოხს ხელი და უცებ, დაინახა, რომ ღობის ხვრელში ტოპს თავი შემოუყვია და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებს.

დიმკა, ჯოხითა და ძეხვით ხელში, ისე დაიბნა, რომ გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც ტოპმა ჰკითხა:

— რატომ მოიპარე ძეხვი?

— არ მომიპარავს, ტოპ, მჭირდება. — აჩქარებით მიუგო დიმკამ. — ბელურების საკენკად მინდა. შენ გიყვარს, ტოპ, ბელურები ხომ? ჩირიკ-ჩირიკ!... ჩირიკ-ჩირიკ!... ოღონდ არა თქვა. არ იტყვი? მე შენ ხვალ კარგ ლურსმანს მოგცემ.

— ბელურების? — სერიოზულად იკითხა ტოპმა.

— კი, კი! ღმერთმანი!.. იმათ არა აქვთ... საწყლებს!

— ლურსმანს ნამდვილად მომცემ?

— მოგცემ... ხომ არ იტყვი, ტოპ? თორემ არც ლურსმანს მოგცემ და არც შმელთან გათამაშებ.

მიიღო რა დუმილის პირობა (რაშიც ძლიერ შეეჭვდა), დიმკა გაქანდა ჟიგანისკენ, რომელიც მოუთმენლად ელოდა.

სწრაფად ბინდდებოდა. როდესაც ბავშვებმა კარდალისა და ფათერაკიანი ძეხვის შესანახად ფარდულებთან მიირბინეს, უკვე ბნელოდა.

— შეინახე სწრაფად!

— მომეცი! — და ჟიგანი სახურავქვეშ ხვრელში შეძვრა. — დიმკა აქ ბნელა, — შეშფოთებით წაიჩურჩულა მან. — მე ვერაფერს ვიპოვნი...

— სულელო, სტყუი, რომ ვერ იპოვნი! შეგეშინდა!

შეძვრა თვითონ, სიბნელეში ჟიგანის ხელს შეეხო. — ჟიგანს ხელი უკანკალებდა.

— შენ რა? — ჰკითხა მან და იგრძნო, რომ შიში მასაც თანდათან ედებოდა.

— იქ... — და ჟიგანმა უფრო მაგრად ჩაავლო ხელი დიმკას.

და დიმკას, ბნელში, ფარდულის სიღრმიდან გარკვევით მოესმა მძიმე, ყრუ კვნესა.

თვალის დახამხამებაში ყვირილით დაეშვნენ ძირს, და გზების, ორმოების, ბილიკების განურჩევლად ორივენი თავზარდაცემულნი გარბოდნენ.

3.

იმ ღამეს დიმკამ დიდხანს ვერ დაიძინა. მის თავში ცოტ-ცოტათი რაღაც ვარაუდებმა იწყეს შეთხზვა: „თაგვები... ვინ შეჭამა ხორცი?... პერანგი... კვნესა... რა იქნება რომ?...“

■

ის დიდხანს ტრიალებდა და ვერაფრით მოიგერია ერთი აკვიატებული აზრი.

დილით დიმკა უკვე ფარდულებთან იყო. ჩალა გადმოიღო და ხვრელში შეძვრა. უთვალავ ჭუჭრუტანაში შემოჭრილ მზის სხივებს გაეპოთ ცარიელი ფარდულის სიბნელე. წინა ბიჯგები, იქ, სადაც კარი უნდა ყოფილიყო, ჩამონგრეულიყო, სახურავი ჩამოწოლილიყო და შესასვლელი დაეხშო. „სადღაც აქაა“, გაიფიქრა დიმკამ და გაცოცდა. დაფანტულ, გამოუწვავი აგურების გროვას შემოუარა და შეშინებული შეჩერდა. კუთხეში, ჩალაზე პირქვე დამხობილიყო კაცი. ფაჩუნი რომ შემოესმა, თავი ოდნავ ასწია და იქვე დაგდებულ ნაგანისკენ ხელი გაიწოდა. მაგრამ იმიტომ, რომ ძალამ უმტყუნა, თუ კიდევ რატომღაც, აღგზნებული, მღვრიე თვალებით რომ დააშტერდა დიმკას, თითები გახსნა, რევოლვერი ძირს დაუშვა, წამოიწია და ხრინწიანად, ისე, რომ ენას ძლივს აბრუნებდა, წარმოთქვა:

— წყალი!

დიმკამ წინ წარსდგა ნაბიჯი. გაიელვა თეთრ გვირგვინში ჩასმულმა წითელმა ვარსკვლავმა და გაოცებულმა დიმკამ კინაღამ შეჰყვირა, როდესაც დაჭრილ კაცში ის მხედარი შეიცნო, რომელმაც იგი ოდესღაც გოლოვენს ხელიდან გამოგლიჯა.

გაჰქრა ყოველგვარი შიში და ეჭვი, დარჩა მხოლოდ სიბრალულის გრძნობა იმ ადამიანისადმი, რომელიც მას ასე მხურვალედ გამოექომაგა.

დიმკამ ხელი დაავლო კარდალას და მდინარეზე გაიქცა წყლისათვის. სირბილით რომ ბრუნდებოდა, კინაღამ შეეჩეხა ფედკა მარინს, რომელიც დედას სველი თეთრეულის ზიდვაში ეხმარებოდა.

დიმკა სწრაფად შეხტა ბუჩქებში; იქიდან ხედავდა, როგორ შეანელა ნაბიჯი ფედკამ და როგორი ცნობისმოყვარეობით აბრუნებდა თავს მის მხარეს. და დედას, რომელმაც შეამჩნია, თუ როგორ უცებ დამძიმდა კალათი, გულმოსულად რომ არ დაეყვირა: „მოკიდე ხელი, შე ეშმაკის ფეხო, რას ბანდალებ!“ ფედკა რაღა თქმა უნდა ვერ მოითმენდა და შეამოწმებდა, — ვინ დაიმალა ასე აჩქარებით ბუჩქებში.



ყვირილით დაეშვნენ ძირს, ორივენი თავზარდაცემულნი გარბოდნენ.

როდესაც დაბრუნდა, დიმკამ დაინახა, რომ უცნობი თვალებდახუჭული წევს და ტუჩებს ოდნავ ამოძრავებს, თითქოს ძილში ვინმეს ელაპარაკებაო. დიმკამ მხარზე ხელი შეახო. მან თვალი გაახილა; როდესაც თავის წინ ბიჭი დაინახა, რაღაც სუსტი ღიმილის მსგავსი გამოესახა გამშრალ ტუჩებზე. წყალი რომ დალია, უცნობმა უკვე გარკვევით და გასაგონად იკითხა:

— წითლები შორს არიან?

— შორს. არც არაფერი ისმის.

— ქალაქში?

— მგონი პეტლიურელები არიან.

— ბიჭუნი, არავის ეტყვი? — და ამ ფრაზაში იმდენი მღელვარება იგრძნობოდა, რომ დიმკა აიტკრიცა და დაუწყო რწმუნება, რომ არ იტყოდა.

— ჟიგანს რომ ვუთხრა!

— ეგ რომელზე ამბობ? გაქცევას ერთად რომ აპირებდით?

— დიახ, — დარცხვენით მიუგო დიმკამ. — აი, მგონი ისიც.

გაისმა ბულბულის წკრიალა გალობა. ეს ჟიგანი ეძებდა ამხანაგს მისი უეცარი დაკარგვით გაოცებული.

დიმკამ ხვრელიდან თავი გამოყო, მაგრამ დაყვირება არ უნდოდა, ამიტომ მსუბუქად ესროლა კენჭი.

— რას შვრები? — ჰკითხა ჟიგანმა.

— ჩუმად! ამოძვერი... ასეა საჭირო.

— დაგეძახა, რაღა ქვას მესვრი! ბარემ აგურიც გესროლა.

ორივენი ხვრელში შეძვრნენ. ჟიგანი უცნობისა და თივაზე დაგდებული შავი რევოლვერის დანახვაზე შემკრთალი შედგა.

უცნობმა თვალები გაახილა და უბრალოდ იკითხა:

— აბა, რაო, ბიჭებო?

— აი, ეს არის ჟიგანი! — და დიმკამ წყნარად უბიძგა ჟიგანს წინ.

უცნობმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავი ოდნავ დახარა.

თავიანთი მარაგიდან დიმკამ მოიტანა პურის ნაჭერი და გუშინდელი ძეხვი.

დაჭრილი მშიერი იყო, მაგრამ პირველად ცოტას სჭამდა, უფრო მეტად წყალს ეტანებოდა.

ამ ხნის განმავლობაში დიმკა და ჟიგანი უხმოდ ისხდნენ.

მწვანეების ტყვიით უცნობი ფეხში იყო დაჭრილი, ამას გარდა სამი დღის განმავლობაში წვეთი წყალი არ დაულევია და ძლიერ გაწამდა.

დანაყრების შემდეგ თავი უკეთ იგრძნო, თვალები გაუბრწყინდა.

— ბიჭებო! — თქვა მან უკვე სრულიად გარკვევით, და ხმაზე, დიმკამ ახლა კვლავ შეიცნო მასში ის მხედარი, რომელმაც გოლოვენს დაუყვირა: „არ გაბედო!“ — თქვენ კარგი ბავშვები ხართ... მე ხშირად მესმოდა თქვენი საუბარი... მაგრამ თუ რამე წამოგცდათ, მე მომკლავენ.

— არ უნდა წამოგვცდეს! — ყოყმანით ჩაურთო ჟიგანმა.

— როგორ თუ არ უნდა წამოგვცდეს! — გაჯავრდა დიმკა. — თქვი: არ ვიტყვით-თქო და გათავდა... თქვენ მას ნუ უსმენთ, — თითქმის ტირილით მიუბრუნდა იგი უცნობს. — ღმერთმანი არ ვიტყვით! აი, მიწა გამისკდეს, ყველაფრის პირობას გაძლევთ... მივბეჟავ...

მაგრამ ჟიგანი თვითონაც მიხვდა, რომ რაღაც შეუსაბამო წამოსცდა და დარცხვენით მიუგო:

— დიახ, მე, დიმი და მე... რომ არ უნდა, მაშასადამე... არავითარ შემთხვევაში...

და დიმკამ დაინახა, როგორ გაიღიმა უცნობმა კვლავ.

* * *

სადილობისას ტოპი იჯდა, იჯდა, და ბოლოს წამოაყრანტალა:

— დიმკა, მომეცი ლურსმანი, თორემ ვეტყვი დედას, ბელურებს რომ ძეხვი წაუღე.

დიმკა კინაღამ დაახრჩო კარტოფილის ნაჭერმა და ტაბურეტი ხმამაღლა აახმაურა. ბედად გოლოვენი შინ არ იყო, დედას ღუმელიდან შეჭამანდი გამოჰქონდა, ბებიას კი ყურს აკლდა.

დიმკამ ფეხი ჰკრა ტოპს, თან ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

— დამაცადე ვისადილო, უკვე მზადა მაქვს ლურსმანი. „გაგიხმეს ენა! — ფიქრობდა ის მაგიდიდან ადგომისას, — თითქოს ენაზე ეწეოდეს ვინმე“.

ერთხანს ძებნის შემდეგ ფარდულში, კედლიდან ამოაძრო რკინის ვეებერთელა ლურსმანი და ტოპს მიუტანა.

— ძალიან დიდია, დიმკა! — თქვა ტოპმა და თან გაკვირვებით შეჰყურებდა მსხვილ, უხეშ ლურსმანს.

—მერე რა რომ დიდია? სწორედ ესაა კარგი, ტოპ. პატარა რად გინდა: უცებ ჩააჭედებ და მორჩა. ეს კი დიდხანს გეყოფა. მიუჯდები და ტუკ, ტუკ!.. კარგი ლურსმანია.

საღამოს ჟიგანმა ონუფრიხასთან სუფთა ტილოს ნაჭერი იპოვა ჭრილობის შესახვევად. დიმკამ კი თავიანთი მარაგიდან ქონის დიდი ნაჭერი აიღო და გადასწყვიტა იოდი ეშოვნა.

* * *

მამაო პერლამუტრი ქვედა კაბის ამარა, ფეხშიშველი იწვა ტახტზე და დანაღვლიანებული ფიქრობდა იმაზე, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს ჭურვისაგან დამწვარი ეკლესიის მიზეზით საქმეები უკან მიდიოდა. მაგრამ ერთხანს წოლის შემდეგ მოაგონდა კარსმომდგარი საეკლესიო დღესასწაული და მასთან დაკავშირებული ათასგვარი სიკეთე. და ბურვაკის ხორცის, კარაქის კვერების, არაყანის მაღალი კოჭობების გამოსახულებებმა მის ფიქრებს ჩანს სხვა მიმართულება მისცეს, რადგან მამაო პერლამუტრიმ დარბაისლურად ჩაახველა და ფიქრებში წასულს გაეღიმა.

შემოვიდა დიმკა, ქონის ნაჭერი ზურგსუკან დამალა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— სალამი, მამაო.

მამაო პერლამუტრიმ ამოიოხრა, მზერა დიმკაზე გადაიტანა და წამოუდგომლად შეეკითხა:

— შენ რა, შვილო, ჩემთან თუ ფოფოდიასთან?

— იმასთან, მამაო.

— ჰმ... იმდენად, რამდენადაც ის აქ არ არის, მის მოვალეობას ჯერჯერობით მე ვასრულებ.

— დედამ გამომგზავნა. ცოტა დაშავდა, წადიო, მითხრა, იქნებ ფოფოდიამ ცოტა იოდი მოგცესო და აი, პაწაწინა შუშაც გამომატანა.

— შუშა... ჰმ... — ეჭვით ჩაახველა მამაო პერლამუტრიმ, — შუშა რაა... ხელები უკან რად გიჭირავს, ბიჭო?

— ქონის ნაჭერი მაქვს. დედამ მითხრა, თუ იოდს ჩაგისხამს, მადლობის ნიშნად მიეციო.

— თუ ჩაგისხამსო?

— ღმერთმანი, ასე თქვა.



— თქვენ კარგი ბავშვები ხართ... მაგრამ თუ რამე წამოგცდათ, მე მომკლავენ.

— ოჰო ჰო, — ჩაილაპარაკა მამაო პერლამუტრიმ და წამოდგა, — არა, ნაცვლად იმისა, რომ საჩუქრად გამომიგზავნოს, „თუ ჩაგისხამსო“.—და მან თავი გაიქნია.

— აბა, მაჩვენე რაღა, ქონი... ძველია?!

— ახალი ხომ ჯერ არ დაგვიკლავს, მამაო.

— თვითონაც ვიცი. მხოლოდ შეიძლებოდა უფრო მსუქანი... გინდაც ძველი. შუშა სადაა? როგორ მოხდა, რომ დედაშენმა მთელი ჩარექი არ მოგცა? განა შეიძლება მაგის გავსება?

— მაგაში, მამაო, სულ ორი სათითური თუ ჩადის, ნაკლები რაღა იქნება?

მამაო ერთხანს იდგა და ფიქრობდა.

— შენ უთხარი, სჯობს დედაშენი თვითონ მოვიდეს. პირდაპირ იმას წავუცხებ. ჩასხმა რა საჭიროა?

მაგრამ დიმკამ სასოწარკვეთილად გაიქნია თავი.

— ჰმ... თავს რას აქნევ?

— მამაო, ჩაასხით, — აჩქარებით ალაპარაკდა დიმკა, — თორემ დედამ დამაბარა: „თუ არ მოგცენ, იმ შემთხვევაში, აიღე, დიმკა, ქონი და უკან წამოიღეო“...

— შენ კი იმას ასე უთხარი:

„მიმნიჭებელი ნუ ზრუნავს ნიჭსა ზედა თვისა, რათა არ იქნეს ამაო ნიჭი მისი წინაშე პირსა მაღლისასა“.

— დაიხსომებ?

— დავიხსომებ! — თქვენ კი მაინც ჩაასხით მამაო.

მამაო პერლამუტრიმ შიშველ ფეხზე ფეხსაცმელები ჩაიცვა; ამასთან დიმკა ძალზე გააოცა მათმა არაჩვეულებრივმა სიდიდემ. მამაომ ქონს ხელი სტაცა, შუშა აიღო და მეორე ოთახში გავიდა.

— აჰა, — თქვა მან გამოსვლისას. — მხოლოდ ჩემი სიკეთის გამო... — და ცოტა ფიქრის შემდეგ შეეკითხა: — თქვენი ქათმები კვერცხს სდებენ, ბიჭო?

— სიკეთის გამო! — გაბრაზდა დიმკა. — ნახევარზე ნაკლებია... — და განმეორებით შეკითხვაზე, კარებიდან გამოსვლისას, სერიოზულად მიუგო: — ჩვენ მამაო, მხოლოდ მამლები გვყავს.

* * *

ამასობაში წითლებისა არაფერი ისმოდა და ბიჭებს ფხიზლად ყოფნა უხდებოდათ.

და მაინც ისინი ხშირად ახერხებდნენ ფარდულებთან მისვლას, და დიდხანს რჩებოდნენ უცნობთან.

ის ხალისით ესაუბრებოდა მათ, მოუთხრობდა ამბებს, ხუმრობდა კიდეც. მხოლოდ, ხანდახან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკი ფრონტებზე ჩამოვარდებოდა, შუბლი შეეჭმუხნებოდა, დუმდებოდა და დიდხანს რაღაცას ფიქრობდა.

— აბა, ბიჭებო, არაფერი ისმის? რა ამბავია იქ? — „იქ“, ესე იგი ფრონტზე. მაგრამ სოფელში ბუნდოვანი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები დადიოდა.

იღუშებოდა და ნერვიულობდა მაშინ უცნობი. და ჩანდა, რომ მას ყოველწუთს მოსალოდნელ პირად საშიშროებაზე მეტად საკუთარი უმოქმედობა და საქმის გაურკვევლობა უმძიმდა.

მას ორივე ბიჭი შეუთვისდა. განსაკუთრებით დიმკა.

ერთხელ როგორღაც დიმკა, რომელმაც შინ ატირებული დედა დატოვა, ნაღვლიანი და მოღუშული მივიდა ფარდულებთან.



— თქვენი ქათმები კვერცხს სდებენ, ბიჭო?

— გოლოვენი მცემს...—განმარტა მან, — ჩემს გამო დედას სახლიდან აგდებს, ტოპსაც. კარგი იყო მამასთან პიტერში წავსულიყავით, მაგრამ... ვერაფრით.

— რატომ ვერაფრით?

— ვერ გახვალ: ათასნაირი საშვებია საჭირო. თანაც ბილეთები. აბა, ბევრიც რომ ეცადო, სად იშოვნი, უმაგისოდ კი არ შეიძლება.

უცნობმა იფიქრა და უთხრა:

— წითლები რომ ყოფილიყვნენ, მე შენ საშვს გიშოვნიდი, დიმკა.

— შენ?! — გაუკვირდა მას. და ცოტა ყოყმანის შემდეგ ჰკითხა ის, რაც მას დიდი ხანია აინტერესებდა: — შენ ვინლა ხარ? მე ვიცი, შენ მეტყვიამფრქვეველთა უფროსი ხარ, იმიტომ, რომ ერთხელ შენს გვერდით ჯარისკაცი ვნახე „ლუისით“.

გაიცინა უცნობმა და თავი დაიქნია, ისე, რომ კიც შეიძლებოდა გეფიქრა და არაც.

და ამის შემდეგ დიმკას კიდევ უფრო მეტად მოუნდა, წითლები მალე მოსულიყვნენ.

უსიამოვნება კი სულ უფრო და უფრო მეტი ხვდებოდა.

შეუბრალებელი ტოპი უკვე მეხუთედ ითხოვდა ლურსმანს, და მიუხედავად იმისა, რომ ღებულობდა, დედასთან მაინც წამოსცდა. შემდეგ დედამ შარვლის ჯიბეში უპოვნა წეკოს ნარჩენები, რომელიც დიმკას დაჭრილისთვის მიჰქონდა. მაგრამ ყველაზე უარესი უბედურება მხოლოდ დღეს დაატყდა.

უქმეებთან დაკავშირებით, ნებაყოფლობითი შეწირულებისათვის მათთან მამაო პერლამუტრიმ შემოიარა. საუბრისას დედას მიუბრუნდა და ჩაურთო:

— ქონი რაც უნდა იყოს ძველი იყო, დამატებით ათიოდე კვერცხი მაინც მოგეცა წამალში.

— ეგ რომელ წამალში?

დიმკა მოუსვენრად ატოკდა სკამზე და მასზე მიპყრობილი თვალების დანახვაზე მოიბლუნძა.

— დედა, მე... ძაღლისათვის... შმელიკისთვის...—ყოყმანით მიუგო მან,—მას უშველებელი ნაჭდევი ჰქონდა...

ყველანი დაჩუმდნენ, რადგან გოლოვენი სკამზე ამოძრავდა და თქვა:

— დღეს მე შენს ნაგაზს ჩავაძაღლებ. — და შემდეგ დაუმატა: — შენ, სტყუი კიდეც მგონი! — და თან როგორღაც უცნაურად იყურებოდა. მეტი არაფერი უთქვამს, არც კი გაულახავს.

— როგორ შეიძლება ყოველგვარი ქმნილებისათვის ასეთი ძვირფასი წამალი?! — აღშფოთებით ჩაურთო მამაო პერლამუტრიმ, — ვინაიდან იცრუა, ორმაგად დამნაშავეა: ღვთისა და ადამიანის წინაშე. — ამასთან მან დიდმნიშვნელოვნად ასწია ცერი, მზერა მიწური იატაკიდან ჭერზე გადაიტანა და რა დარწმუნდა იმაში, რომ მისმა სიტყვებმა საჭირო შთაბეჭდილება მოახდინეს, დედას მიუბრუნდა და დაუმატა: — მაშასადამე, ათი კვერცხის იმედი მაქვს.

საღამოს შინიდან რომ გამოდიოდა, დიმკა შემობრუნდა და დაინახა, რომ ღობესთან დგას გოლოვენი და ყურადღებით უთვალთვალებს.

მან განგებ გაუხვია მდინარისაკენ.

— დიმკა, ჩვენი მეგობრის შესახებ სოფელში ლაპარაკობენ, — გააცნობა იგი შეხვედრისას ჟიგანმა, — აქ სადღაც ახლოს არისო. იმიტომ იყოო პერანგი... ამასთან ერთად მამასახლისის შვილმა სემკამ გორპინას ღობესთან წიგნაკი ნახა, ისიც გასისხლიანებული. მეც ვნახე ერთი ფურცელი. თეთრია და კუთხეში ასოები უზის „P.B.C“ და ჯოხები როგორც საგუშაგოზე.

დიმკას თითქოს თავში დაარტყეს.

— ჟიგან, — ჩურჩულით თქვა მან, თუმცა ირგვლივ არავინ იყო, — საჭიროა რომ... ნუ მიდიხარ იქ პირდაპირ, სჯობს ირგვლივ შემოუარო, რომ არ შეგვნიშნონ.

უცნობი გააფრთხილეს.

— რა ვუყოთ, — თქვა მან, — ოღონდ, ფრთხილად, ბავშვებო, და თუ სიფრთხილე არ უშველის, რას იზამ... რასაკვირველია არ მინდოდა ასე უაზროდ დაღუპვა...

— აზრით დაღუპვა?

ასეთი სიტყვა არ არსებობს, დიმკა.

— აზრიანად დაღუპვა კი შეიძლება.

— ასეთი სიმღერაც არის, — ჩაურთო ჟიგანმა. სხვა დრო რომ იყოს, ვიმღერებდი, — კარგი სიმღერაა. წაიყვანეს კომუნისტი დასახვრეტად, ის კი კედელთან მდგარი უხსნის მათ... ვიცითო, ამბობს, ჩვენ რა მიზეზითაც ვიბრძვით, ვიცით, რისთვის ვკვდებით... ოღონდ როდესაც სიტყვებით ვყვები, არ გამოდის. აი, მაშინ კი, როდესაც ჯარისკაცები ფრონტზე მიდიოდნენ, იცით, როგორ მღეროდნენ... რკინიგზელებიც კი პირდაღებულები უსმენდნენ. პირდაპირ გულში ხვდება.

შინ ცალცალკე ბრუნდებოდნენ. დიმკა უფრო ადრე წამოვიდა; ის კეთილსინდისიერად გაემართა მდინარისაკენ, იქიდან კი შინ.

ამასობაში ჟიგანმა, მისთვის დამახასიათებელი დაუდევრობით უცნობს წყლის მოსატანად მათარა გამოართვა, პირობა დაავიწყდა და მოკლე გზით — ბოსტნებზე გავლით წავიდა. ოცნებით გატაცებულმა დაუსტვინა და უცებ შესწყვიტა, როდესაც მოესმა, რომ ბუჩქებთან რაღაცამ გაიტკაცუნა.

— შეჩერდი, სატანავ! — დაიყვირა ვიღაცამ, — შეჩერდი, ძაღლო! — იგი შეშინებული გახტა განზე, რომელიღაც ღობეზე შეხტა და იგრძნო, რომ ვიღაცა შარვალში ჩააფრინდა.

მან სასოწარკვეთილად, მთელი ძალით გაიქნია წიხლი, როგორც ჩანს ვიღაცას სახეში მოარტყა. ღობიდან კომბოსტოს კვლებში გადაგორდა, მათარა ხელიდან გააგდო და სიბნელეში მოკურცხლა.

დიმკა დაბრუნდა ისე, რომ ეჭვადაც არაფერი იცოდა და უმალ დასაძინებლად დაწვა. არ გასულა ოცი წუთიც, რომ ქოხში ლანძღვით შემოვარდა გოლოვენი და მაშინვე დედას დაუყვირა:

— სჯობს შენი ქაჯი შვილი სულაც აღარ დაბრუნდეს... ფეხი სახეში მთხლიშა... მოვკლავ...

— როდის გთხლიშა? — შიშით შეეკითხა დედა.

— როდის? აი ახლა.

— იმას დიდი ხანია ძინავს.

— ოო, სატანა! მაშასადამე ეს-ეს არის მოირბინა. ქუსლი სახეში მომარტყა, ეს კი მეუბნება — ძინავსო! — მან კარი გააღო და დიმკასკენ გაემართა.

— რას ამბობ! რას ამბობ! — შიშით ალაპარაკდა დედა.—რა ქუსლი? მას ხომ გაზაფხულს აქეთ არავითარი ფეხსაცმელი არა აქვს, ის ხომ ფეხშიშველია! ვინ უყიდა?... ხომ არ გადაირიე!

მაგრამ ჩანს, გოლოვენმაც მოისაზრა, რომ დიმკას ფეხსაცმელები არა აქვს. შეჩერდა, შეიგინა და ქოხში შევიდა.

— ჰმ...—წაიბუტბუტა მან, სკამზე დაჯდა და მათარა მაგიდაზე დააგდო. — შევცდი... მაგრამ ვინ, და სად იფარავს მას?! პერანგი, ფურცლები, მათარა...

შემდეგ ერთხანს სდუმდა და ბოლოს დაუმატა: — თქვენი ძაღლი კი მაინც მოვკალი.

— როგორ მოკალი?! — შეეკითხა დედა.

— ისე. თავში ვესროლე და მორჩა.

დიმკას თავი ქუქუნაკში ჩაერგო, ტყაპუჭში ღრმად ჩამძვრალიყო, მთელი ტანით კანკალებდა და უხმოდ, მაგრამ მწარედ, მწარედ ტიროდა.

როდესაც ყველაფერი მიწყნარდა, გოლოვენი თავანში წავიდა, დედა დიმკასთან მივიდა, შეამჩნია, რომ იგი გულამოსკვნით ტირის და დამამშვიდებლად უთხრა:

— გეყოფა, დიმუშკა! განა ღირს ძაღლზე...

მაგრამ ამ გახსენებაზე დიმკას კიდევ უფრო ნათლად, გარკვევით წარმოუდგა თვალწინ ალერსიანი, კუდქიცინა შმელი, კიდევ უფრო მეტი ძალით აცახცახდა, თავი კიდევ უფრო მაგრად ჩარგო ცრემლებისაგან დასველებულ ტყაპუჭში.

თარგმნა **გ. შელიამ**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მხატვარი ა. ბანძელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლეო ქიაჩელი

ფიცხი თაობა*

დათოს მამის მერგოლურ იასონ თაბაძის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდებით დაჯილდოების ამბავმა, მთელ კოლმეურნეობასთან ერთად, მაშენის რვაწლედის პიონერების დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია. მოწინავე რგოლის გამარჯვებით განსაკუთრებულად თავი მოჰქონდათ დათოს, რეზოს და თენგიზს, რომლებიც რგოლის წევრებს გვერდში ედგნენ მთელი საზაფხულო არდადეგების განმავლობაში, ვიდრე ჩაის კრეფა უმაგალითო წარმატებით არ დასრულდა.

რაიონი ემზადებოდა მაღალი ჯილდოს მიღების აღსანიშნავ ზეიმისათვის. სარაიონო გაზეთმა «ჩვენი შრომა»-მ გადაწყვიტა ღირსეულად გამოხმაურებოდა კოლმეურნეობა «ახალი ცხოვრების» უჩვეულო გამარჯვებას. მან სასწრაფოდ მიავლინა სოფელ მაშენში თავისი თანამშრომელი და ფოტოგრაფი. პირველს დაევალა კოლმეურნეობის შრომასა და ყოფაზე ვრცელი მხატვრული ნარკვევის დაწერა, ხოლო ფოტოგრაფს—როგორც გამარჯვებული რგოლის წევრების საერთო სურათის გადაღება, ისე იმ ჩაის პლანტაციისა, რომელმაც სახელმწიფოს ჯერ არნახული მოსავალი მისცა.

გამოჩნდა თუ არა სრულ ორ საათზე გაზეთის თანამშრომლების მანქანა ბორცვიან-გორიანი მაშენის თავში, ჩქარი სვლისაგან დაყენებული მტვრის კორიანტელი გზის პირას ნარინჯის ნარგავებს გადაეფინა. ამავე დროს სოფელში შემავალი გზის გაყოლებაზე მჭექარე ყვირილმა და შეძახილმა იფეთქა:

— ჰეეჰე, მოდიან! მოდიან, ამხანაგებო! ხედავთ?

— როგორ არ ვხედავთ? ჩვენი გაზეთის ახალი მანქანაა! აბა, თუ იცანი, თენგიზ?

— ნამდვილად ის არის! აქეთ, რეზო! ერთად დავხვდეთ წამოუძღე ყველას აქეთ!

— მოვდივართ, მოვდივართ!—სხვადასხვა ხმაზე გაისმა გზის გასწვრივ.

ესენი იყვნენ ამ დროისათვის სკოლიდან დაბრუნებული სოფლის მოზარდი თაობის ფიცხი წარმომადგენლები, ყველგან და ყველაფერში სიცოცხლისა და სიხარულის შემტანნი. სკოლიდან დაბრუნებულებს შინ დაეგდოთ ჩანთები, სახელდახელოდ ესაუზმნათ და თემშარაზე გამოფენილიყვნენ, რომლითაც მანქანა კოლმეურნეობაში უნდა შემოსულიყო. ერთად ირეოდა დიდი და პატარა—პიონერები და ოქტომბრელები, რომელთაც სკოლამდელებიც ადევნებოდნენ. ყველას სიხარული და აღტაცება გამოხატოდა სახეზე სტუმრების მოლოდინში. ყველა დარწმუნებული იყო, რომ სოფლის თავში ბორცვზე გამოჩენილი მანქანა ორიოდე წუთში მოსახვევიდან ძირს დაქანდებოდა და მათ წინ გამოივლიდა. ამის უეჭველ მოლოდინში ბავშვებს წინასწარ აეტეხნათ ყვირილი:

— ვაშაა! გაუმარჯოს!

მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი: გავიდა ნავარაუდევ დროზე მეტი, მაგრამ ბორცვიდან ძირს დაშვებული მანქანა სოფელში შემავალ გზაზე არ გამოჩნდა. ბავშვების მიერ მისაგებებლად ატეხილი ყვირილი უცებ შეწყდა, და უცნაური სიჩუმე ჩამოწვა აქამდე ახმაურებულ გზის გაყოლებაზე. დაძაბული მოლოდინი კიდევ ერთხანს გაგრძელდა, მაგრამ ამაოდ. მანქანა ისე გაჰქრა, თითქოს მიწამ პირი უყოო.

— მოვტყუვდით ვითომ?—პირველმა დაარღვია სიჩუმე რეზომ.

— ეტყობა, ისინი არ ყოფილან!— თქვა თენგიზმა, რომელიც ამხანაგებზე მთელი თავით უფრო მაღლა ჩანდა.

---

* თავი მოთხრობიდან „დაგვიანებული საგზალი“

უცებ ყველა ერთად ალაპარაკდა.

— როგორ თუ ისინი არ ყოფილან? ვინ თქვა? ნამდვილად დავინახე; «პობედა» იყო თავახდილი!—ამბობდა ერთი.

— თავახდილი შენ თვითონ ხარ! ფაეტონი ეწოდება მაგისთანას.—დაცინვით შენიშნა ამხანაგს მანქანების მცოდნე რეზომ.

— თავახდილი კი იყო და... ნამდვილად დავინახე.—ამბობდა ამხანაგი.

— რას ამბობ, რას? იმ მტვერში და იმ სიშორეზე როგორ გაარჩიე? მე მაგალითად ეს ვერ შევნიშნე! —ამტკიცებდა რეზო.

— მე კი ფოტოგრაფიული აპარატის ყუთსაც მოვკარი თვალი, რომ მოჰქონდათ ფეხზე შეყენებული.

— აი, ამას კი ნამდვილად სტყუი. ჯერ ერთი ყუთებს ძველად დაათრევდნენ. ესეც არ იყოს, წინასწარ ასე ადრე ფეხზე რატომ შეაყენებდნენ?

— ახლა სურათს «ლეიკით» იღებენ! დურბინდს ჰგავს და გულზე უკიდიათ! არ გინახავს?—არ ცხრებოდა რეზო.

ახლა თენგიზი ჩაერია დავაში და რეზოს დინჯად შენიშნა:

— არა, არა ხარ მართალი ამ შემთხვევაში, რეზო. მაინც ამისთანა დიდი გადაღების დროს ფეხზე შეყენებულ დიდ აპარატებს ხმარობენ. «ლეიკა» პატარა სურათების გადასაღებია! მაგრამ მართლა გაუგებარია, ფეხზე შეყენებულს რატომ წამოიღებდნენ.

— არც შენ ხარ მართალი, თენგიზ! «ლეიკით», უკეთ რომ ვთქვათ «ფრედით», დიდსაც იღებენ და პატარასაც.—გაისმა ვიღაცის ბეჯითი შენიშვნა, და როცა მისკენ მოიხედეს, იცნეს ახლად მოსული იონა, რომელსაც მთელ სკოლაში, ერთადერთს ჰქონდა ფოტოაპარატი.

— ჰეე, არ ღირს ამაზე დავა, ამხანაგებო!— მიმართა მეგობრებს რეზომ, რომელმაც ავტომანქანების ამბავი უფრო უკეთ იცოდა, ვიდრე ფოტოაპარატების.—ჩვენ პირდაპირ პლანტაციაში უნდა წავსულიყავით თავიდანვე და არა აქ ვმდგარიყავით! იმაზე რას იტყვი, თენგიზ, რომ დათომაც მოგვატყუა: მოვალო, ჩვენ გამოგვისტუმრა და თავად კი არ ჩანს. რამდენი ხანია ჩვენი რაზმის საბჭოს სხდომა გათავდა. იონამაც კი მოგვასწრო.

— მოვა, ნუ გეშინია!

— უდათოოდ ვერ გამოვა, მგონია, ჩვენი ამბავი, თენგიზ!—ამბობდა მეგობრის დაგვიანებით შეწუხებული რეზო.

— რატომ არ გამოვა... ჩვენც ხალხი ვართ! — თქვა დათოზე გულნაკლულმა თენგიზმა.

ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

— ამხანაგებო, იცით, რა გითხრათ? ნამდვილად ვიცი, რაც მოხდა: მანქანამ ბორცვიდან პირდაპირ პლანტაციისაკენ გადაუხვია, სადაც გადაღებაა დანიშნული. ჩვენ კი ხახამშრალები დაგვტოვა! აბა, სად წავიდოდა სხვაგან?

წამით ყველანი გაჩუმდნენ, რეზოს და თენგიზს ჭკუაში დაუჯდათ ამხანაგის განცხადება. ერთმანეთს გადახედეს. სხვა გზა მართლა არ ჰქონდა მანქანას.—ბორცვის ძირში გზა იყოფოდა, ერთი სოფლის შუაგულისაკენ უხვევდა, მეორე გამარჯვებული რგოლის ჩაის ფართობისაკენ მიდიოდა.

— მართალია!—ენერგიულად თქვა რეზომ,—აკი ვთქვი, პირდაპირ იქ უნდა წავსულიყავით მეთქი!

— თუ ასეა, აქ რას ვდგავართ,—აენთო თენგიზი,—გამოვუდგეთ და დავეწევით... იქით გზა ისეთია, რომ მანქანა ჩქარა ვერ ივლის, ადვილად დავეწევით!

თენგიზის გაბედულმა წინადადებამ ბავშვებში რყევა გამოიწვია.

— რას დავეწევით, ძმაო, «პობედას»! ტყუილი იმედია!—ჩაილაპარაკა რეზომ.

— მართალია, ვერ დავეწევით! — დაეთანხმა დინჯი იონა.

მაგრამ განთქმული მორბენალი თენგიზი აღარ შესულა რეზოს და იონას ეჭვის გარჩევაში.

— ვისაც ძალა შეგწევთ, მომყევით!—დაიძახა მან და გაუჩინარებულ მანქანას გამოუდგა. მას კვალდაკვალ მიჰყვა პიონერების ერთი ნაწილი.

მაგრამ არც მეორე ნაწილის დიდი უმრავლესობა დარჩენილა თავის ადგილზე. მას რეზო ჩაუდგა სათავეში.

— მე მომყევით, ამხანაგებო! მოკლე ბილიკით უფრო ადრე მივალთ.—ეს თქვა და აღარ დაუყოვნებია, იქვე ბილიკებისაკენ გადაუხვია.

— აბა, ვნახოთ ვინ ვის დაასწრებს მისვლას!—გადასძახა ბილიკით უკვე გორაზე ასულმა რეზომ თენგიზს და მის ამყოლებს.

— ვნახოთ და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, და ვინ დამარცხდება!—უყვიროდა მას თენგიზი გზიდან.

— შეჯიბრებაა, მაშ! იცოდეთ, თითს მოგაკაკვინებთ!

— ვნახოთ: ვინ, ვის!

გზის პირად მხოლოდ სკოლამდელები და რამდენიმე პირველკლასელი მოწაფე დარჩენილიყვნენ. მათ ვერ გაებედნათ მთებში დაკარგულ ბილიკებზე გადახვევა. ხოლო იმის იმედიც დაჰკარგოდათ, რომ უკვე კარგა შორს წასულ თენგიზს და მის ამხანაგებს დაეწეოდნენ. მშობლებისაც შეეშინდათ: შორს რომ მარტონი წავიდეთ, ნამდვილად გაგვიწყრებიანო!

ბრაზისაგან ცრემლი მოსდგომოდათ თვალებზე, რომ სურათის საზეიმო გადაღებას ვერ დაესწრებოდნენ.

არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რადგანაც არც შინ დაბრუნება უნდოდათ.

* * *

იმ გორაკის ძირში, რომელზედაც შეფენილი იყო გამარჯვებული რგოლის ჩაის პლანტაცია, ჩაის ბუჩქების მწკრივების გარეთ მოტოვებული მცირე ხეივნის ჩრდილში ხალხს თავი მოეყარა.

სურათის გადასაღებად სათანადოდ გამოწყობილი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული გამარჯვებული რგოლის წევრების გარდა, აქ სურათის გადაღების საცქერად მოსულიყვნენ მეზობელ ფართობებში მომუშავე კოლმეურნეებიც, რომელთა დასვენების საათი ამ დროს დამთხვეოდა.

მანქანის მოსვლის მოლოდინში რგოლის წევრები და სტუმრები ჩრდილქვეშ ჩამომსხდარიყვნენ. ბაასობდნენ. მათი ბაასის საგანი ისევ და ისევ ჩაი იყო. მის მოვლამოყვანაზე სჯა და ბაასი, აბა, როგორ მოსწყინდებოდათ ჩაის ოსტატებს?

უფრო მეტწილად გამარჯვებულ მერგოლურ იასონ თაბაძეს ალაპარაკებდნენ მეზობლები, თუ როგორ შესძლო მან და მისმა რგოლმა ხარისხიანი ფოთლის ასეთი უხვი მოსავლის მოყვანა თავიანთ ფართობზე.

იასონ თაბაძე სიტყვაძვირი კაცი იყო საერთოდ, მაგრამ როცა შემთხვევა მიეცემოდა ჩაის მოვლა-მოყვანაზე საუბრისა, სრულიად იცვლებოდა, ენაწყლიანი ხდებოდა.

ამ შემთხვევაშიც ასე უნდა მომხდარიყო და იასონიც მოემზადა სასაუბროდ, რომ მოულოდნელად ხეივნის გვერდით, ფართობის მისადგომთან, ერთი ყვირილი და ვაშას ძახილი ატყდა, რამაც იასონს ხმის ამოღება არცკი დააცალა.

ალბათ, მანქანა მოსულაო,—გაიფიქრეს ხეივანში თავმოყრილებმა.

— ეს როგორ მოგვივიდა? მანქანა თავს წამოგვადგა და არც კი შეგვიტყვია!—წამოიძახა იასონმა და ადგილიდან ფიცხლად წამოხტა. დანარჩენებიც უმალვე წამოიშალნენ. გაიხედეს—მანქანის მაგიერ პლანტაციის მისასვლელთან მოქუჩებული ბავშვები დაინახეს, გაუკვირდათ, ეს რა ამბავიაო?

ჯირკზე შემდგარი პიონერი რეზო, გარშემოხვეულ ამხანაგებს აღგზნებული ხმით ეუბნებოდა:

— ჩვენ გავიმარჯვეთ, ამხანაგებო! თენგიზი და მისი ამყოლები დამარცხდნენ! ისინი არ ჩანან, როგორც ხედავთ! აშკარაა, ჩვენ დავასწარით მოსვლა!

— ვაშა!—იქუხეს ბავშვებმა და ტაში შემოჰკრეს.

— რა ამბავია, თადეოზ! გაგვაგებინე, თუ კაცი ხარ?—დაუძახა მერგოლეურმა იასონმა თადეოზს, რომელიც სანამ სხვები ფეხზე წამოდგებოდნენ მისასვლელისაკენ გაქცეულიყო და ბავშვების უცნაურ მიტინგს თვალებზე ხელჩამოფარებული მიშტერებოდა.

— ნამდვილად ჩვენი სოფლის ბავშვები არიან, მერგოლეურო!—უპასუხა ბრიგადირს თადეოზმა.— გაუგებარია, აქ საიდან გაჩნდნენ!

— კი, მაგრამ ტაშს რატომ უკრავენ, ან ვაშას ვის უძახიან?

— მეც ვერაფერი გამიგია... თენგიზის სახელს კი მოვკარი ყური... მაგრამ ის მათ შორის არ ჩანს... დათოსაც ვერ ვხედავ... ახლავე გავიგებ, რა ამბავია! — თადეოზი ბავშვებისაკენ გაემართა.

მაგრამ თადეოზს ამბის გაგება არ დაცალდა. ჯერ ახლოს არ იყო მისული, რომ ჩაის ფართობის პირდაპირ შემაღლებაზე ხარხარი გაისმა და ძირს დაქანებული მანქანა ბავშვებსა და მას შუა ჩამოდგა პლანტაციის წინ.

ახალი და უფრო საკვირველი სანახაობის წინ დადგა რგოლის წევრი თადეოზი: «თავახდილი» «პობედა» გაჭედილი აღმოჩნდა პიონერებით, რომლებიც ერთმანეთს მიკრულები და ხელებგადაჭდობილები იდგნენ მანქანაში. დანარჩენებზე მთელი თავით უფრო მაღალ თენგიზს ქუდი ხელში დაეჭირა, აქეთ-იქით იქნევდა და ყვიროდა:

— ვაშა!

ამ მოულოდნელმა სანახაობამ, ცოტა არ იყოს, ნირი შეუცვალა ბილიკებით ადრე მოსულ რეზოს და მის რაზმს.

— ბიჭოს! ეს როგორ მოხდა?—ამბობდა გაოცებული რეზო და თვალს არ უჯერებდა, რომ მოწინააღმდეგეები მანქანით მოსულიყვნენ.

მაგრამ მაინც არ დაბნეულა. სანამ ისინი მანქანიდან ძირს ჩამოვიდოდნენ, მიაძახა:

— „ვაშა“ ჩვენ გვეკუთვნის, ამხანაგებო, რადგანაც გაგასწარით! თქვენზე გაცილებით უფრო ადრე მოვედით! ნუ თუ ვერ გვხედავთ, რომ აქ ვართ!

— გაჯობეთ, გაჯობეთ!—მხარი დაუჭირეს მას ბილიკით მოსულებმა.

მანქანაში მდგომთ კი ამაყად ეჭირათ თავი. ძირს ჩამოსვლისთანავე თენგიზმა მოკლედ და გოროზად უპასუხა დამხვდურთ:

— არაფერიც! თქვენ კი არა, ჩვენ გაჯობეთ!

— როგორ თუ თქვენ გვაჯობეთ?—გაჯავრდა რეზო,— ჩვენ თქვენზე უფრო ადრე მოვედით! მანქანამაც ვერ გიშველათ, და კიდევ ამბობთ, გაჯობეთო! მორჩა და გათავდა: ცხადია, რომ დაიგვიანეთ!

— როგორ დავაგვიანებდით, ამხანაგო რეზო, როცა ფოტოგრაფი ჩვენთან იყო,—ამბობდა თენგიზი.—ფეხდაფეხ რომ დავეწიეთ, მანქანა გააჩერეს და შიგ ჩაგვსვეს, რამდენიც კი ჩავეტიეთ. რა გვეჩქარებოდა აქ მოსვლა: უფოტოგრაფოდ გადაღება ხომ არ მოხდებოდა?! რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ადრე მოსვლას?!

— კი მაგრამ ხომ შევეჯიბრეთ, ვინ უფრო ადრე მოვიდოდა? ჩვენ ადრე მოვედით, მაშასადამე ჩვენ გავიმარჯვეთ!— არ უთმობდა მეგობარს რეზო.

სანამ ბავშვები დავას განაგრძობდნენ, თადეოზი მიესალმა გაზეთის თანამშრომელსა და ფოტოგრაფს და პლანტაციაში შეუძღვა, სადაც მათ იასონ თაბაძე დახვდა რგოლის დანარჩენი წევრებით.

აღმოჩნდა, რომ კორესპონდენტი, მერგოლეურ იასონ თაბაძის გარდა, დანარჩენ რგოლის წევრებსაც კარგად იცნობდა, როგორც მათი მუშაობის მუდმივი მეთვალყურე, რაიონის გაზეთის მიერ გამოყოფილი. ხელის ჩამორთმევისას ყველას სახელი მოიგონა და ქალიან-კაციანად სათითაოდ მოიკითხა. იგი საშუალო ტანის კაცი იყო, შავგვრემანი, ულვაშებშეკრეჭილი და წვერგაპარსული. თავზე ფართო ფარფლიანი თეთრი სვანური ქუდი ეხურა, ნიკაპის ქვეშ შესკვნილი ზონარით დამაგრებული. ლურჯი ხალათის გახსნილ გულისპირზე ჭრელი, ხასხასა ყელსახვევი ეფინა, რომელიც მის უბრალო ჩაცმულობას საზეიმო იერს აძლევდა.

სანამ ის კოლმეურნეებს ესაუბრებოდა, მხარიღლივ «ლეიკა» ჩამოკიდებული, არტისტულად გაპარსული ხუჭუჭ-თმიანი, წითური ფოტოგრაფი ფიცხლად შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. დაკვირვებით შეათვალიერა ჩაის ფართობი, გადასაღებად მომარჯვებული ადგილის შესარჩევად. სერზე აირბინა, ძირს გადმოიხედა, ჯერ მარჯვენა კუთხე, მერე მარცხენა ამოიღო ნიშანში და ბოლოს ერთ ადგილზე შეაჩერა თვალი. ამის შემდეგ ისევ ძირს დაეშვა.

— აქეთ მობრძანდით, ამხანაგებო,—მიმართა მან კოლმეურნეებს.

ფოტოგრაფის მიერ არჩეული ადგილი დიდად არ იყო დაშორებული იმ ხეივანს, სადაც საცქერად მოსულ კოლმეურნეებს თავი შეეფარებინათ. ახლა მათ გვერდით მოუსვენარი ბავშვების ორთავე ჯგუფსაც მოეყარა თავი. ბავშვების რიცხვი შესამჩნევად გაზრდილიყო: უკვე მოეღწიათ როგორც ბილიკებზე შეგვიანებულებს, ისე იმათაც, ვინც თენგიზს გამოჰყვა, მაგრამ მანქანაში არ ჩაეტია.

ბავშვებს არ უნდოდათ უფროსების გვერდით ყოფნა,— ვერ გრძნობდნენ თავს თავისუფლად. იმას უცდიდნენ, თუ რომელ ადგილს აირჩევდა ფოტოგრაფი, სად დააყენებდა თავის აპარატს და სად მიუჩენდა რგოლის წევრებს ადგილს, რომ ამის მიხედვით დალაგებულიყვნენ.— ყველას უნდოდა აპარატის უკან ახლოს მოკალათებულიყო, რათა თვალწინ რგოლის წევრებიც ჰყოლოდა და ფოტოგრაფისთვისაც ეცქირნა.

უმალვე მოხდა მათი გადაჯგუფება, როგორც კი გამოირკვა ფოტოგრაფის არჩევანის შედეგი.

თუმცა ამასწინანდელი დავა შეჯიბრების შედეგებზე ბავშვებს უკვე შეეწყვიტათ და დავიწყებოდათ კიდევაც, მაგრამ სამაგიეროდ ახალი, სულ სხვა შინაარსის კამათი დაეწყოთ. ეს ახალი კამათი პირველზე უფრო გაცხოველებული ჩანდა, თუმცა დაძაბული ჩურჩულით მიმდინარეობდა, რათა უფროსებს არ გაეგონათ და იქ ყოფნა არ დაეშალათ. ახალი კამათის საგანი იყო საგარეოდ ჩაცმულ-დახურული რგოლის წევრების ორდენები და მედლები, რომლებიც მათ გულმკერდს უმშვენებდა. ბავშვები ამ კვალობაზე იმაში ეცილებოდნენ ერთმანეთს, თუ ვის რა ხარისხის და რამდენი ორდენი, ან მედალი ეკეთა გულზე,—რომელი იყო სამხედრო, სამამულო ომის ფრონტზე მოპოვებული, და რომელი სამშვიდობო, კოლმეურნეობაში სამაგალითო შრომისათვის მიღებული.

ბავშვები ზედმიწევნით ერკვეოდნენ ორდენებისა და მედლების გამოცნობასა და დახარისხებაში, მაგრამ მაინც სადაო გამხდარიყო ზოგიერთი სამხედრო და სამოქალაქო ჯილდოს შეფარდებითი ხარისხის დადგენა-შეფასება. დავას ის გარემოება ამწვავებდა, რომ მოკამათენი ყველანი როდი მსჯელობდნენ თანაბარი მიუდგომლობით. მათში ადამიანურ სისუსტეს ეჩინა თავი: თავისიანებისადმი მიკერძოებას ძალაუნებურად დაეჩრდილა ზოგიერთის სამართლიანობის გრძნობა, რადგანაც ორდენების თუ მედლების მეტნაკლები ხარისხის გამორკვევა მათი მამების, უფროსი ძმების თუ საყვარელი ბიძების დამსახურების მეტნაკლებ შეფასებას მოასწავებდა.

ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა და რა სახეს მიიღებდა ბავშვების კამათი, რომ გადასაღებად მომზადებული, აპარატთან დამდგარი ფოტოგრაფის შეუპოვარ ხმას არ შეეწყვიტა იგი:

— ყურადღება, ამხანაგებო! სიჩუმე... გთხოვთ, არ გაინძრეთ!

უმალვე საყოველთაო სიჩუმე დამკვიდრდა.

მაგრამ აქ რგოლის წევრმა თადეოზმა მოულოდნელად დაარღვია როგორც ჩამოვარდნილი სიჩუმე, ისე ფოტოგრაფის მიერ ჯგუფში საბოლოოდ დამყარებული წესრიგი. იგი გამოეყო ამხანაგებს, აპარატისაკენ გაქანდა და ფოტოგრაფს ხელის სავსავით შესძახა:

— დაიცათ, დაიცათ, ამხანაგო! ვინც გვაკლდნენ, ისინიც მოვიდნენ!—მერე პირი განზე იბრუნა და ყიჟინის ხმაზე გასძახა:

— აქეთ, დათო! ჩქარა! ჩქარა! მოგვისწარი!

დათოს სახელის გაგონებამდე გადასაღებად დაწყობილ ჯგუფში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თადეოზის საქციელმა, მაგრამ რა ესმათ კოლმეურნეებს დათოს სახელი, უკმაყოფილება სიხარულით შეეცვალათ. ყველამ იქით გაიხედა, საითაც წესრიგის დამრღვევი იცქირებოდა.



— დათოა!—გაისმა რგოლის წევრებს შორის.

— მართლა დათო მოდის! ნეტავი რამ დააგვიანა?!

სიხარულმა უფრო ძლიერად ბავშვების წრეში იფეთქა:

— დათოა, დათოა, ამხანაგებო!

— წინ მერცხალა მოუძღვის! ხედავთ?

— მაშ, არ მოგვატყუა! მოვიდა მაინც! ყოჩაღ, ჩემო დათო!—თქვა რეზომ.

— რა მოხდა? რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა, მეტი ხომ არაფერი! ვითომ რაო, ცალკე რომ წამოსულა!—ხმადაბლა, მაგრამ ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა თენგიზმა. მაგრამ მისი შენიშვნისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. იგი პიონერ გოგონას გახარებულმა წკრიალა ხმამ დაფარა:

— რა კარგია, რომ მოვიდა! ახლა დათოსაც გადაუღებენ სურათს? გამოწყობილა კიდევაც, პიონერის ნიშანი უბრწყინავს გულზე და ახალი ხალათი აცვია. როგორ უხდება!

— რაკი გადაღება შეაჩერეს, ჩანს, მასაც გადაუღებენ სურათს.—გაეხმაურა მას მეორე გოგონა.

— ნეტავი, მერცხალასაც თუ გადაუღებენ სურათს?—იკითხა ახლა მესამე გოგონამ გულუბრყვილოდ.

— ეს კი საეჭვოა, ამხანაგო!—შენიშნა მას დაბოხებული ხმით ერთმა პიონერმა ბიჭმა.

— რატომ არის საეჭვო? იცი რა ჭკვიანია მერცხალა?! —აღელდა გოგონა.

— ჭკვიანი, იქნება, შენც იყო, მაგრამ მიდი ერთი, თუ გადაგიღონ!—შეაწყვეტინა მას სიტყვა დამცინავმა რეზომ

აქ უცებ გაისმა:

— შეხედეთ, ხალხო! კიდევ ვინ წამოუყვანია დათოს! შეხედეთ! შეხედეთ!

— ვინ? ვინ?—წაიგრძელა კისერი დიდმა და პატარამ.

— დათუჩა!—გაისმა თოფის ხმასავით ერთობლივი წამოძახება.

— დათუჩაო? შემახედეთ ერთი! მე რომ ვერ ვხედავ!

— ჩაის ბუჩქებს მოყვება... ნამდვილად ის არის... აი, გამოჩნდა! დათოს ხელმარჯვნივ მოსდევს კისერზე ჯაჭვშებმული!

— ნამდვილ დათვს ჰგავს შეჩვენებული, ისე მოალაჯებს!

— მართლა რამხელა გაიზარდა!

დათო მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით მოდიოდა ჩაის ბუჩქების გასწვრივ და თანდათან უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც სურათის გადაღება უნდა მომხდარიყო.

წინ ტანმორჩილი მერცხალა მოუძღოდათ, რომელიც უდარდელი და მსუბუქი თოხარიკით მოყვებდა გზას ჩაის ბუჩქების მწკრივებს შუა. დროდადრო უეცრად შესდგებოდა, გზას აქეთ-იქით დასუნავდა, ერთს დათოსკენ მოიხედავდა, ვითომ დაგიცადო თუ არაო, და ისევ გზას განაგრძობდა.

დათოს გვერდით უცნაური ცხოველი მობაჯბაჯებდა,— დაბალი და ბანჯგვლიანი, კისერზე ჯაჭვშებმული. ეს იყო დათოს ახალი მეგობარი დათუჩა.

დათუჩა თხუნელასავით დრუნჩდაშვებული მოდიოდა სუნვა-სუნვით და დათოს წამდაუწუმ ფეხქვეშ უვარდებოდა. პატარა გავას ისეთი თავმოწონებით მოარხევდა, თითქოს ზრდადასრულებული მხეცი ყოფილიყო, ტყეში ლაღად მოსეირნე.

დათოსა და მისი ამალის დანახვაზე შეცბუნდნენ გაზეთის თანამშრომელი და მისი ფოტოგრაფი.

— ამიხსენით, ამხანაგო თადეოზ, რატომ შეგვაჩერეთ? რა მოხდა ამისთანა?—მიმართა გამწყრალმა თანამშრომელმა წესრიგის დამრღვევ ახალგაზრდა კოლმეურნეს.

— არაფერი არ მომხდარა, ამხანაგო იულონ,—სწრაფად მიუგო მას თადეოზმა,—მოვიცადოთ, ბარემ მოვიდნენ, რაკი მოდიან მეთქი...

— ვინ მოდიან, ამხანაგო?— მოუთმენლობა დაეტყო გაზეთის თანამშრომელს. თვალები მოჭუტა და უფრო დაკვირვებით გაიხედა იქით, საითაც თადეოზი იცქირებოდა.—ჰმ... ეს პიონერი დათოა, ამხანაგ იასონის ვაჟი... ის ჩვენი გაზეთის კორესპონდენტია და ჩემი კარგი მეგობარი! მერე რა, რომ მოდიან? მეც კარგად ვხედავ, რომ წინ ძაღლი მოურბის და გვერდით კი ლეკვი მოჰყვება!

დათუჩას ლეკვად ხსენებაზე თადეოზს სახეზე დამცინავი ღიმილი გადაეშალა.

— თქვენ ცდებით, ამხანაგო, — შენიშნა მან იულონს და ამხანაგებს გადახედა, ვითომ რას ამბობს ეს კაცი: ჩვენი დათუჩა ლეკვი ჰგონიაო და სიცილი ვერ შეიკავა. მერე დასძინა:—ლეკვი კი არა, დათვია, ამხანაგო, ნამდვილი დათვი!

— ლომიც რომ იყოს, ჩვენ მასთან რა გვესაქმება! — მართლა გაჯავრდა გაზეთის წარმომადგენელი.—ჩვენ გამარჯვებული რგოლის მხოლოდ ნამდვილი წევრების სურათის გადაღება გვაქვს დავალებული გაზეთში გამოსაქვეყნებლად და არა... ჰმ... პიონერების და... როგორ ვთქვა არც კი ვიცი... ნუთუ ვერ მიმხვდარხართ, რომ ხელს გვიშლით, გვაგვიანებთ! სურათი კვირის გაზეთში უნდა დაიბეჭდოს, დღეს კი პარასკევია... ასეთ შეუგნებელ ადამიანად რომ არ გიცნობთ! როგორ მოგივიდათ აზრად ძაღლის და ბელის გადაღება მოწინავე კოლმეურნეებთან ერთად?! ამხანაგო მერგოლურო, დაამყარეთ წესრიგი თქვენს შორის, თუ შეიძლებოდეს!

გაზეთის თანამშრომელი აღარ ხუმრობდა. იასონ თაბაძემ თადეოზს უბრძანა დაეჭირა ჯგუფში თავისი მიტოვებული ადგილი, რაც დაუყოვნებლივ შესრულებული იქნა.

ფოტოგრაფი კვლავ შეუდგა თავის საქმეს. ერთი წუთიც არ გასულა, რომ მისი შეუვალი ხმაც გაისმა:

— ყურადღება, ამხანაგებო! ვიწყებ... გთხოვთ არ გაინძრეთ... ასე... კარგია! ვითვლი... ერთი... ჰმ... ჰე... ამხანაგო... მგონი, თადეოზ... ბოდიში! ნუ იცქირებით განზე იმ პიონერისკენ... თვალები ჩემსკენ... დიახ, დიახ... ასე... ვითვლი: ორი. ჰმ... ამხანაგო თადეოზ, სახე ნუ მოგიღუშიათ... გამხიარულდით... იმ თქვენს მეგობარ პიონერს მერე გადავუღებთ ცალკე... აი, აი, კარგია, რომ იღიმებით... ასე... სამი!.. გმადლობთ... თავისუფალი ბრძანდებით!





ირაკლი ციციშვილი

ფოტო შ. ჩხეტიანისა

მომავალი თბილისი

ჩვენს ქვეყანაში არქიტექტურისა და ქალაქის მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებანი საყოველთაოდ ცნობილია. ალბათ ვერ დავასახელებთ საბჭოთა კავშირის ვერც ერთ ქალაქს, რომელსაც უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი ცვლილებები არ განეცადოს.

არაჩვეულებრივად იცვალა სახე აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა, 15 საუკუნეს არსებულმა თბილისმა. რევოლუციამდე მტვრიანი, ყოველგვარ კეთილმოწყობას მოკლებული ვაჭართა და მოხელეთა ქალაქი, ამჟამად იქცა მსხვილ კულტურულ და ინდუსტრიულ ცენტრად, ულამაზეს ქალაქად საბჭოთა კავშირში.

ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინათ—1933 წელს, ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ დასახა თბილისის შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივები. მას შემდეგ მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებს ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელება.

ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩები, მცირესართულიანი სახლები ვერ უპასუხებდნენ სოციალისტური ქალაქის მოთხოვნილებებს. შედარებით მოკლე დროში (1933—1940 წ.წ.) ჩატარდა პირველი მნიშვნელოვანი სამუშაოები. რუსთაველის პროსპექტის განტვირთვის მიზნით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას აიგო ფართო სანაპირო. ოდესღაც ქაობიან, სანაგვედ ქცეულ მტკვრის ნაპირებზე გაშენდა ულამაზესი ბაღები და პარკები. ამავე დროს დაიწყო სანაპიროს მშენებლობა მდინარის მარცხენა ნაპირზეც. გაყვანილ იქნა ახალი მაგისტრალი გმირთა მოედნიდან სადგურამდე, აიგო ახალი—ჩელუსკინელთა სახელობის ხიდი,

---

სურათზე: სსსრ მთავრობის სასახლე.

რის შედეგად სადგური მარჯვედ დაუკავშირდა ქალაქის ცენტრს. გაფართოვდა ბარათაშვილის სახელობის აღმართი, რომელიც ქალაქს აკავშირებს 26 კომისრის რაიონთან. დაიწყო მთელი რიგი ქუჩების გაფართოება. ქალაქის მთავარ მაგისტრალებზე—რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე, მოიხსნა მოუხერხებელი ტრამვაის ხაზები. ქუჩები დაიფარა ასფალტით და მწვანე ნარგავებით.

მაგრამ ქალაქი სწრაფად იზრდება. მრავლდება მისი მოსახლეობა და ქალაქის მეურნეობა ველარ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

ამჟამად თბილისში გაიშალა დიდი სამუშაოები მისი ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად. მრავალი არქიტექტორი და ინჟინერი მუშაობს საპროექტო ორგანიზაციებში ქალაქის ქუჩების, მოედნების, თუ ცალკეულ საცხოვრებელ, ადმინისტრატიულ და კულტურულ შენობათა პროექტებზე.

წარმოვიდგინოთ ის დიდი სამუშაო, რომელიც უნდა ჩატარდეს თბილისში უახლოეს წლებში.

თბილისისათვის დამახასიათებელმა ბუნებრივმა რელიეფმა, მისმა მდებარეობამ მტკვრის ვიწრო ხეობაში, შეაპირობა ქალაქის წაგრძელებული ფორმა. ახალი გეგმის მიხედვით, ქალაქი განვითარდება ჩრდილოეთის მხარეს სადგურ ზაჰესამდე, და შემოიერთებს დიღმის ველს, ღრმა-ღელესა და ზემო და ქვემო ავჭალას. აღმოსავლეთით ქალაქი აითვისებს ახალ ტერიტორიას ლოჭინის ხევამდე. ამგვარად მისი სიგრძე 35 კილომეტრს მიაღწევს. გაიზრდება ქალაქის რაიონების რიცხვი. თბილისის გრძივ ღერძად დარჩება მისი ბუნებრივი და ტრადიციული ცენტრი. იგი ბერიას სახელობის მოედანზე იწყება და რუსთაველის პროსპექტის და ლენინის ქუჩის გავლით შეიმართება სამხედრო გზისაკენ. გაფართოვდებიან და ახალ სახეს მიიღებენ სხვა ქუჩებიც. მაგისტრალებად გადაიქცევა, ლენინის ქუჩის გარდა, კლარა ცეტკინის ქუჩა, საბჭოს ქუჩა და სხვები. გაგრძელდება ახალი მაგისტრალები ღრმა-ღელისა და 26 კომისრის რაიონში. ასევე დიდი ყურადღება მიექცევა „მეორეხარისხოვან“ პერპენდიკულარულ ქუჩებსაც.


ორთაჭალის პროექტი

მართალია, თბილისის ცენტრალური ქუჩები დღესაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ—ასე მაგალითად, მთაწმინდის ფონზე გაშლილი რუსთაველის პროსპექტი ერთიანი მასშტაბის შენობებით, ლამაზი ხეივნებითა და ყვავილოვანი გაზონებით, არაჩვეულებრივად მიმზიდველი და დამახასიათებელია, მაგრამ მათი დასრულებული, მხატვრული სახის შექმნა ჯერ კიდევ დიდ სამუშაოს მოითხოვს; საჭირო გახდება მთელი რიგი შენობების გადაკეთება, ან შეცვლა, ახალი დასრულებული არქიტექტურული ანსამბლების შექმნა და სხვ. ამჟამად რუსთაველის პროსპექტზე მთავრდება თბილისის ერთ-ერთი უდიდესი შენობის, საქართველოს მთავრობის სახლის მშენებლობა.

ეს მონუმენტური და კეთილშობილებით აღვსილი შენობა—ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები ქართული საბჭოთა არქიტექტურისა, არაჩვეულებრივად გაამდიდრებს რუსთაველის პროსპექტს და გვიკარნახებს ახალი, ასევე დიადი ანსამბლების გადაწყვეტას.

როგორც ქალაქისათვის, ისე მისი მთავარი მაგისტრალებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოედნებს. არსებული 7 მოედნის ნაცვლად თბილისში შეიქმნება 29 მოედანი. გარდაიქმნება არსებული მოედნებიც—ბერიას სახელობის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, სადგურისა და სხვები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ დასრულებული მხატვრული სახე, არ არიან ერთიან ანსამბლში გადაწყვეტილი. უდიდესი ყურადღება მიექცევა ბერიას სახელობის მოედანს. იგი შემოიფარგლება მრავალსართულიანი შენობებით და გახდება ჩვენი ქალაქის საამაყო, ხალხის ზეიმისა და დემონსტრაციებისათვის განკუთვნილი ცენტრალური მოედანი.

ქალაქის სახის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სილუეტს. თბილისი ძირითადად 3-5 სართულიანი სახლებითაა გაშენებული. დასამახსოვრებელი სილუეტის შესაქმნელად კი საჭიროა ვერტიკალური, სიმაღლითი შენობების არსებობაც.

გეგმით გათვალისწინებულია თბილისში, მოსკოვის მშენებლობის გამოცდილების საფუძველზე აიგოს რამდენიმე სიმაღლითი შენობა.

5535


ახალი ხიდი მდინარე მტკვარზე (პროექტი).


ახალი საცხოვრებელი სახლი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე(პროექტი).

ამასთან, თბილისის რთული რელიეფის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ექნება შენობებს—აგებულს ცირკის მსგავსად, ამაღლებულ ადგილას. გეგმით გათვალისწინებულია 7 ასეთი შენობა, რომელიც დაამთავრებს პერსპექტიულ ხედებს მაგისტრალებიდან და ხაზს გაუსვამს ქალაქის რელიეფს.

გეგმაში გარკვეული ადგილი უკავია საცხოვრებელ კომპლექსებს. უნდა შეიქმნას მსხვილი საცხოვრებელი კომპლექსები შიგა გამწვანებით, საკუთარი სპორტული ჯგუფით და მოსახლეობისათვის საჭირო ყველა მომსახურე დაწესებულებით. ასეთ კომპლექსებში მცხოვრები დიასახლისი დაკავშირებული იქნება უახლოეს სავაჭრო წერტებთან. ბავშვი სკოლაში ქუჩების გადასვლის გარეშე მოხვდება და სხვ.

მართალია ჩვენი ქალაქი საგრძნობლად გამწვანებულია — მისი ქუჩები შეიმოსა ხეივნებითა და ყვავილოვანი გაზონებით, მაგრამ რა თქმა უნდა სამუშაო ამ მიმართულებით კვლავაც გაგრძელდება. თბილისის გამწვანება სულ უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს—გაშენდება პარკები და ტყეები თბილისის ირგვლივ მდებარე მთების კალთებზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე „თბილისის ზღვა“, რომლის ირგვლივ მდებარე მთები და ველები დაიფარება ტყეებით. აიგება დასასვენებელი სახლები, ფართოდ განვითარდება წყალჯომარდობის სხვადასხვა სახეობანი.



საქქვანახშირის მრავალსართულიანი სახლი ლენინის ქუჩაზე (პროექტი).

ქალაქის ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის ორგანიზაციას. გენერალური გეგმით გათვალისწინებულია ტრამვაის ხაზების სრული ლიკვიდაცია ქალაქის ცენტრში და მისი შეცვლა უფრო მოხერხებული ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით. ტრამვაის ხაზები მოემსახურება ქალაქის გარეუბნებს და დააკავშირებს მათ სადგურთან. ასეთი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ბერიას მოედანსა და კიროვის რაიონში. ორთაჭალის ჰიდროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიქმნება თბილისისათვის ახალი სახის — წყლის ტრანსპორტი. იგი დააკავშირებს ქალაქის ცენტრალურ უბნებს 300 არაგველთა ხიდიდან, ვიდრე ჩელუსკინელთა ხიდამდე. მტკვრის დონის აწევასთან ერთად, შესაძლებელი გახდება წყლის სპორტის ფართო განვითარება.

ზემოჩამოთვლილი, ცხადია, თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მხოლოდ ნაწილს შეადგენს.

თბილისი უახლოეს ხანში დამშვენდება ახალი მონუმენტური შენობებითა და დიდებული ანსამბლებით. საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მომავალი სახე ღირსეული იქნება დიად სტალინური ეპოქისა.

პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად

პიონერული ორგანიზაცია მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლაში

ნორჩი ლენინელის უპირველესი მოვალეობაა კარგად სწავლა. ბუნებრივია, რომ პიონერული ორგანიზაციის ძირითად ამოცანასაც ეს წარმოადგენს. იგი უნდა დაეხმაროს მასწავლებლებს, მოსწავლეებს მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლაში. ამ საკითხზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება საკავშირო ალკკ XI ყრილობამ და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა.

სწავლაში წარმატებების მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასწავლო წლის დაწყებიდანვე ყოველი დღის, საათის ნაყოფიერად გამოყენებას. პიონერხელმძღვანელი მოვალეა დაეხმაროს მოსწავლეებს არდადეგების დამთავრებისთანავე შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას. ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდი სარგებლობა მოაქვს პიონერებთან დროის გამოყენების, დღის რეჟიმის შედგენის, მეცადინეობის მეთოდების შესახებ საუბრების მოწყობას. საუბარი შეიძლება ჩაატაროს უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, ან რაზმის ხელმძღვანელმა, უფროსკლასელმა პიონერმა, კომკავშირელმა მოსწავლემ, სტახანოველმა, კოლმეურნემ, ინჟინერმა და ა. შ. ასეთ თემებს მიზანშეწონილია მიეძღვნას აგრეთვე პიონერული შეკრებებიც.

პიონერულ ორგანიზაციაში აუცილებელია ეწყობოდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც აძლიერებენ პიონერთა სწრაფვას ცოდნისაკენ, აჩვევენ შრომას, აღრმავებენ სიყვარულს თითოეული შესასწავლი საგნისადმი, აფართოებენ მათს გონებრივ ჰორიზონტს. ამისათვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას თემატიკური შეკრებები წარმოადგენენ. შეკრების თემის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი იდეურად და პედაგოგიურად უნდა იყოს გამართლებული, ითვალისწინებდეს ბავშვთა ასაკს, ცოდნის დონეს, მისწრაფებებს. თემა შეიძლება უშუალოდ სასკოლო პროგრამიდან გამომდინარეობდეს. ასეთ შემთხვევაში სასურველია შეირჩეს საკვანძო საკითხი. ზოგჯერ კი იგი მიეძღვნება ისეთ თემას, რომელიც, რაიმე მიზეზის გამო, მოსწავლეებმა გაკვეთილზე კარგად ვერ აითვისეს.

შეკრება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰგავდეს გაკვეთილს ან საგნობრივი წრის მეცადინეობას. იგი ბავშვთა აქტივობასა და თვითმოქმედებას უნდა ეყრდნობოდეს.

მიზანშეწონილია მოსწავლეთა ცოდნის გაფართოების მიზნით პიონერულ შეკრებაზე გონებრივი გასართობების გამოყენება, საინტერესო ამოცანებისა და გამოცანების, რებუსების, შარადების, ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული კროსვორდებისა და ვიქტორინების ამოხსნა და სხვ. ყოველივე ეს შეიძლება მოეწყოს შეკრების გარეშეც.

რაზმეულში, რაზმსა და რგოლში ორგანიზებულ უნდა იქნას წიგნების, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების კოლექტიური კითხვა-განხილვა, ლიტერატურული დილები, ისტორიული, გეოგრაფიული „მოგზაურობა რუკაზე", კონკურსი თვითნაკეთ ხელსაწყოზე, საშინაო დავალებათა რვეულების დათვალიერება, შეხვედრები სახელოვან ადამიანებთან, ექსკურსიები და სხვ.

მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში დიდ დახმარებას უწევენ საგნობრივი წრეები, რომელთა ორგანიზებასა და მუშაობის მოწყობაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პიონერხელმძღვანელები და აქტივისტები.

პიონერული ორგანიზაცია პიონერებს კარგად სწავლაში მარტო მასობრივი ღონისძიებებით როდი უნდა ეხმარებოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ამა თუ იმ პიონერისათვის ინდივიდუალური დახმარების გაწევა. ასეთ დახმარების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგეს წარჩინებული პიონერის დახმარება ამხანაგისადმი, რომელიც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო ჩამორჩა სწავლაში. ასეთი დახმარება განსაკუთრებით აუცილებელი და ეფექტურია ისეთ შემთხვევაში, როდესაც პიონერი დროებით წყვეტს სკოლაში სიარულს. საჭიროების დროს ჩამორჩენილ პიონერს მეცადინეობაში უნდა დაეხმარონ პიონერხელმძღვანელებიც. მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამხანაგური დახმარების გაწევა ამ ფორმით დაუშვებელია, თუ პიონერმა დაუდევრობა გამოიჩინა და დამოუკიდებლად შეუძლია გამოასწოროს ჩამორჩენა.

პიონერული ორგანიზაცია ხელს უნდა უწყობდეს, ეხმარებოდეს ნორჩ ლენინელებს კარგად სწავლაში. ამავე დროს იგი ვალდებულია თვითეული თავისი წევრისაგან მოითხოვდეს: იყოს მაგალითის მაჩვენებელი სწავლაში, მკაცრად კიცხავდეს ზარმაცებს. პიონერები სწავლის საკითხებზე სისტემატურად უნდა მსჯელობდნენ რგოლში, რაზმში, რაზმეულში, შეკრებებზე, საბჭოს სხდომებზე. აუცილებელია წარჩინებული, სამაგალითო პიონერების წახალისება, მათთვის მადლობის გამოცხადება რგოლის, რაზმის ან რაზმეულის წინაშე, რაზმეულის დროშასთან ფოტოსურათის გადაღება, მათს შესახებ კედლის გაზეთში დაწერა, წარჩინებულ პიონერთა დაფაზე გამოკვრა და სხვ. პიონერებს ნათლად უნდა დავანახოთ, რომ მათი საქმიანობა ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორია მათი აკადემიური მაჩვენებლები.

20 წელი პავლიკ მოროზოვის დაღუპვიდან

გმირი პიონერი

პავლიკ მოროზოვის ძეგლი მოსკოვში

ქანდაკება ი. ა. რაბინოვიჩისა

მაღალი, მშვენიერი შუბლი. კეფაზე მოგდებული ქუდი. კაკარდის ქვეშ—ქერა ქოჩორი. სწორი და გროზი წარბები. პირდაპირი, მკაცრი გამოხედვა. მკერდზე პიონერული ყელსახვევი.

ასეთია პავლიკ მოროზოვის გარეგნული შესახედაობა.

პატიოსნება, მოუსყიდველობა. სამშობლოსადმი, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოსადმი უსაზღვრო ერთგულება.

გულადობა. გამბედაობა. ყოველ წუთს მზადყოფნა ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ყველაფრის, თვით საკუთარი სიცოცხლის გასაწირად.

ასეთია პავლიკ მოროზოვის შინაგანი, მორალური სახე.

პავლიკ მოროზოვმა დიდი გმირობა ჩაიდინა: საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ინტერესებს შესწირა. მას ეყო ვაჟკაცობა და სულიერი სიძლიერე იმისათვის, რომ მშობელი მამის წინააღმდეგაც კი გაელაშქრა.—მალე გამოირკვა, რომ მამამისი ხალხის მტერი იყო. პავლიკ მოროზოვი ოცი წლის წინ, ტაიგის მიყრუებულ სოფელში, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება.

ბოროტმოქმედებმა პავლიკს დანა ჩაარტყეს გულში და მოჰკლეს. პიონერ-პატრიოტის წმინდა სისხლი დაიღვარა. პატიოსანი და კეთილშობილი გულისცემა სამუდამოდ შეწყდა.

მაგრამ სამშობლო არასოდეს დაივიწყებს თავის ერთგულ შვილს.

პავლიკ მოროზოვის დიადი გმირობა სამუდამო მაგალითად დარჩება ყველა ჩვენგანისათვის.

ჩვენ ისეთივე გულადნი და გამბედავნი უნდა ვიყოთ, როგორიც პავლიკ მოროზოვი იყო.

ჩვენც ისევე უნდა ვამხილოთ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, როგორც მათ პავლიკ მოროზოვი ამხელდა.

ჩვენც პავლიკ მოროზოვივით ყველაფერზე მაღლა საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნიზმის ინტერესები უნდა დავაყენოთ.

ჩვენც უნდა ერთგული სტალინელები ვიყოთ და ისევე უსაზღვროდ გვიყვარდეს ჩვენი მამა, მეგობარი და მასწავლებელი, მშობლიური დიდი სტალინი, როგორც პავლიკ მოროზოვს უყვარდა.

ვალენტინ კატაევი

ლევ კასილი და მაქს პოლიანოვსკი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

პიონერთა ნაპირი*

ალუპკაში, სადაც სახლები და ქუჩები თითქოს მიფოფხავენო ფრიალო მთაზე, არტეკის დირექტორმა ბორის იაკოვლევიჩმა გამოიყვანა ავტობუსიდან თავისი პიონერები და უთხრა:

— აი, ჩამოვედით. ესეც სევასტოპოლის ქუჩა. აი თვითონ ის სახლიც, ნომერი ოთხი.

პატარა, თეთრი სახლი იდგა მთაზე. მაღალ ხეებს მის ზემოთ აემართათ თავისი საგრილობელი.

— მოდით, ბავშვებო, ზედმეტად რომ არ შევაწუხოთ, ცოტა წყნარად ვიყოთ... მივესალმოთ, ყვავილები გადავცეთ. ჰოდა, შემდეგ, თუ ვინმეს რაიმეს თქმა უნდა, დაე თქვას, მადლობა ვუთხრათ და გავბრუნდეთ უკან. აქ ხომ უჩვენოდაც, ალბათ, ყოველდღე ბლომადაა ჩამოსული ხალხი.

ბავშვებმა ყელსახვევები გაისწორეს, მოუთმენლად ათვალიერებდნენ უბრალო, სუფთა სახლს, რომელიც მეზობელ სახლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ბორის იაკოვლევიჩმა დააკაკუნა ჭიშკარზე.

სახლის ფანჯარა გაიღო. გამოჩნდა ქალი, არც თუ ახალგაზრდა, მაგრამ არც ისე მოხუცი. ყურადღებიანი, ნაღვლიანი თვალებით გადმოჰყურებდა ზემოდან ბავშვებს. და მაშინვე ყველა ბავშვმა, მოულაპარაკებლად, თავზემოთ ასწია მარჯვენა ხელი; ისინი პატარა სახლის დიასახლისს მიესალმნენ.

— დილა მშვიდობისა, ტატიანა სემიონოვნა! გამარჯობათ!—უთხრა ბორის იაკოვლევიჩმა, რომელმაც თეთრი ტილოს ქუდი მოიხადა და გაოფლილი თავი ცხვირსახოცით მოიწმინდა.—გთხოვთ, ნუ გაგვიჯავრდებით, ნუ გაგვაგდებთ, ძვირფასო! ძალიან უნდოდათ ჩემს პიონერებს, თუნდ ცალი თვალით მაინც თქვენი შეხედვა. ყური მოჰკრეს, რომ თქვენ აქვე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობთ, იძულებული ვიყავი წამომეყვანა... მაშ, აი, ბავშვებო, გაიცანით: ტატიანა სემიონოვნა, პავლიკის დედა.

ბავშვები ერთად მიესალმნენ ტატიანა სემიონოვნას, რომელსაც თვალს არ აშორებდნენ.

ვალოდია დუბინინი ფრთხილად მიუახლოვდა, რომ არავის დაეშალა მისთვის დანახვა. იდგა იგი თავაწეული, ნახევრად პირდაღებული. მას არ სჯეროდა, რომ მის წინ იდგა პავლიკის მშობელი დედა, იმ პავლიკისა, რომელზეც იმდენი რამ წაეკითხა, იმდენი რამ გაეგონა! აი ამან, ამ ქალმა მუცლით ატარა, გაზარდა ყველაზე ცნობილი პიონერი, რომლის სახელსაც ატარებენ რაზმები, პიონერთა სახლები; რომელზეც სიმღერებს მღერიან, უამბობენ შეკრებებზე, დგამენ წარმოდგენებს, ბეჭდავენ წიგნებს!

— გამარჯობათ, ბავშვებო! შემოდით, ძვირფასებო, შემოდით, გეთაყვა! ჭიშკარი ღიაა.

იგი ლაპარაკობდა რბილი, ურალური კილოთი.

უხერხულად შეჯგუფული, შეხვედრით აღელვებული პიონერები, ჭიშკრიდან ეზოში შევიდნენ, არტეკული ვარდების უზარმაზარი თაიგულებით ხელში. და როდესაც ტატიანა სემიონოვნა გამოვიდა პატარა პარმაღზე, ყვავილები დაცვივდა მის ფეხთით,—ხელებში ვერ დაიტია, იმდენი იყო ყოველი მხრიდან მისკენ გაწვდილი მძიმე, სურნელოვანი თაიგულები.

— ოი, ძვირფასებო, გმადლობთ! რად გინდოდათ ამდენი? რატომ დაღუპეთ ასეთი სილამაზე?—ამბობდა ტატიანა სემიონოვნა და ცდილობდა ხელები მოეხვია ყვავილების უზარმაზარი გროვისთვის.

— არაფერია, არტეკში ჩვენ ბევრი გვაქვს.— ეუბნებოდნენ ბავშვები.

— ჰოდა აი, მე მათ ახლავე ჩავდგამ წყალში, პაშკას პორტრეტის გვერდით, გინდათ, ნახოთ?

რასაკვირველია, ყველამ მოისურვა ენახა პავლიკის პორტრეტი. მორიდებით შევიდნენ გრილ ოთახებში და დიდხანს ჩასცქეროდნენ შორეული ურალის სოფელ გერასიმოვკის დიდებული პიონერის პორტრეტს, რომლის თავგანწირულმა გმირობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა ლენინ-სტალინის საქმისათვის როგორი დაუძლეველი ერთგულებით, მისი მტრებისადმი როგორი მძაფრი სიძულვილით გამს-

---

* ნაწყვეტი მოთხრობიდან „უმცროსი ვაჟიშვილის ქუჩა“.

ჭვალულნი არიან დიდი ოქტომბრის რევოლუციის უმცროსი ვაჟების ნორჩი გულები. დიდხანს იდგა ამ პორტრეტთან ვალოდია. ამ წუთებში მან გაიხსენა, რაც კი გაგონილი ჰქონდა პავლიკ მოროზოვზე—მისი საშინელი დაღუპვა მკვლელების ხელით, რომელთა წინაშე არ შედრკა პიონერის გული. შემდეგ მან მზერა გადაიტანა ჭაღარა ქალზე, რომელიც გვერდით იდგა და ფრთხილად დგამდა ყვავილებს ქილებში, ვაზებსა და ვედროებში. ვალოდიას მოუნდა, რაიმე, ძალიან ალერსიანი ეთქვა პავლიკის დედისთვის.

— როგორ გგავთ თქვენ!
—გაბედა მან.

— დიახ, ხალხი ამბობს, არისო მსგავსება,—ამოიოხრა მან.

— იგი ღონიერი იყო?—ჰკითხა ვალოდიამ,—მაღალი?

— არა, შენსავით იყო, შენზე ცოტა მაღალი.

— ჩვენთან, არტეკში, ერთი რაზმი გვყავს, თქვენი პავლიკის სახელობის, —უთხრა ერთერთმა გოგონამ.

— კატარღაც არის, იმასაც «პავლიკ მოროზოვი» ეწოდება.

— მოსკოვშიც გვაქვს ჩვენ ასეთი შესახვევი, კრასნაია პრესნიაზე, იმასაც ეწოდება: პავლიკ მოროზოვის შესახვევი.

პავლიკ მოროზოვი

აღარც ღამეა გოროზი,
არც სისხლიანი მთვარე...
კვლავ ცოცხლობ
პავლიკ მოროზოვ,
კვლავ ხედავ მშობელ მხარეს.

ისევ ენთება დილის მზე,
ნამით პირს იბანს ფიჭვი,
ისევ მორბიხარ ბილიკზე
ქერათმიანი ბიჭი.

შენი სიმღერა ვიცანი,
ისევ ტოლებში გეძებ,
ეს შენ ხარ, მშვიდობისათვის
ცაში რომ აფრენ მტრედებს.

და რჩება მარად უცვლელი
ხალხში სიმღერად თქმული:
რომ ოლეგს მკერდში უცემდა
შენი მგზნებარე გული!

ნაზი კილასონია

— ტატიანა სემიონოვნა, გვიამბეთ რამე პავლიკზე.

— რა უნდა გიამბოთ, თქვენ, ალბათ, ყველაფერი უკვე წაკითხული გაქვთ. თვითონ ყველაფერი იცით. გაზეთებსა და წიგნებში უკეთაა დაწერილი, ვიდრე მე გიამბობთ. რა გითხრათ? კარგი იყო იგი, ბავშვებო, ძალიან პატიოსანი, თუ სიტყვას იტყოდა, არასოდეს არ გადათქვამდა. სწავლობდა ძალიან კარგად. გამბედავიც იყო. სიმართლისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის არაფერს დაინანებდა. აი, სიცოცხლეც არ დაინანა, სიკვდილის არ შეეშინდა, თვითონვე იცით. ისე კი, ალერსიანი იყო, ბავშვებო, მე ყოველთვის დიდი მზრუნველობით მეპყრობოდა.

იგი დადუმდა, შეხედა შვილის პორტრეტს, ყელზე ხელი ჩამოისვა.

ვალოდია უსმენდა მას, ხარბად ჰქონდა გახელილი თვალები. პავლიკის თავგანწირული გმირობა და დედის მწუხარება—ყველაფერი, რაც წიგნებიდან დიდი ხანია ასე კარგად იყო მისთვის ცნობილი, უცბად გაცოცხლდა, ახლა სრულიად ახლობელი გახდა, თითქოს არა შორეული ურალის სოფელში მომხდარიყოს ეს, არამედ სადღაც მათი სკოლის გვერდით, მათ ქუჩაზე.

ანდრიუშკა კაჩალინი წინ წამოდგა, მღელვარებისგან ხმის კანკალით ასე მიმართა:

— ძვირფასო ტატიანა სემიონოვნა, ნება მომეცით ყველა ჩვენგანის სახელით, ყველა პიონერ - არტეკელის სახელით, გითხრათ თქვენ... მადლობა გადაგიხადოთ თქვენ იმისათვის, რომ ჩვენთან ისაუბრეთ, და გითხრათ... პირობა მოგცეთ, რომ ჩვენ ყველანი ვეცდებით ისეთები ვიყოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოსთვის, როგორიც იყო თქვენი პავლიკი.

ეს დღე ვალოდიას ყველაზე უფრო ნათლად დაამახსოვრდა, ვიდრე სხვა საბანაკო დღეები. უკან დაბრუნებისას იგი მთელ გზას დუმდა. მეორე დღეს კი მივიდა ავიოსახელოსნოში, ჩამოხსნა ლარტყიდან თავისი ახალი ბენზინის მოტორიანი მოდელი და მივიდა ინსტრუქტორთან.

— ვლადისლავ სერგეევიჩ,—მიმართა მან,— მე გადავწყვიტე... შემიძლია ჩემს მოდელს «პავლიკ მოროზოვი» ვუწოდო?

და არავის გაჰკვირვებია, როდესაც ბანაკის თავზე, პატარა მოტორის ხმაურით, ყირიმის ცისფერ ცაზე ბოლის ვიწრო კვალის დატოვე-

ბით, აფრინდა მოდელი, რომლის ფრთებზე მსხვილი ასოებით და გარკვევით იყო დაწერილი: «პავლიკ მოროზოვი». არტეკელები მას სალუტს აძლევდნენ ქვემოდან, უქნევდნენ ხელებს და თავიანთ თეთრ ქუდებს.

«პავლიკ მოროზოვი» სწრაფად იღებდა სიმაღლეს. მან გადაუქროლა ხეებს, ჰაერის თბილმა დინებამ აიტაცა ის და ზღვისკენ გაიტაცა. მას ხედავდნენ ზედა და ქვედა ბანაკებიდან. ის შენიშნეს გოგონებმა ბანაკ № 3-დან. კატარღები გავიდნენ ზღვაში, რომ აეღოთ მოდელი, თუ ვინიცობაა წყალზე დაჯდებოდა.

მალე კატარღებმა თვალთახედვიდან დაკარგეს მოდელი. ის თითქოს დადნა ლაპლაპა ზღვის თვალისმომჭრელ ოქროსფერ პაპანებაში. ვალოდია ტყუილად ელოდა ნაპირზე კატარღების დაბრუნებას. მას აცნობეს, რომ მოდელი გაჰქრა. ბორის იაკოვლევიჩი რეკავდა გარშემო მდებარე ყველა სანატორიუმსა და დამხმარე მეურნეობაში, ეკითხებოდა, ხომ არ უნახავთ სადმე მოდელი.

მაგრამ ის დაიკარგა.

და მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ვენახში მომუშავე ხალხმა დაინახა, ციდან როგორ ეშვებოდა მათკენ პატარა თვითმფრინავი. კანტორიდან ზარით უკვე გაფრთხილებულნი, ისინი გაქანდნენ ამ ამბით ბანაკისკენ.

— მოფრინავს, მოფრინავს!—გაისმა ყველა ბანაკში.

და თუმცა, წესითა და რიგით, სავახშმოდ გაწყობილ მაგიდებთან უკვე უნდა დამსხდარიყვნენ, მაგრამ ყველანი—ბავშვები, მიმტანები, მომვლელები, პიონერხელმძღვანელები და თვით მკაცრი ექიმი ქალი, როზალია რაფაილოვნაც კი—ყველა ტერასზე გამოცვივდა, რომ «პავლიკ მოროზოვი» დაენახათ, რომელიც ქარმა დაიყოლია და შინ დააბრუნა.

ვალოდიამ ერთბაშად გაითქვა ძახილი ყველა ბანაკში. როგორც კი იგი სადმე გამოჩნდებოდა, მის უკან ისმოდა:

— ეს ის არის, რომელსაც მოდელი გაუფრინდა, ხოლო ერთი საათის შემდეგ თვითონვე მობრუნდა...

... ახლა კი ვალოდია დუბინინი თავმდაბლად იდგა რაზმის მარცხენა ფლანგზე.

საღამოვდებოდა. სამხრეთის თბილი, კეთილსურნელოვანი, მჭახე ჰაერი ისე გაჟღენთილიყო ბაღისა და ზღვის სუნით, რომ მოტკბომარილიანი გემო ამ ჰაერისა პირში იგრძნობოდა.

ბანაკების ხეივნებში აანთეს ფერადი ფარნები. მუსიკამ დაუკრა. ვალოდია სუნთქავდა სურნელოვან ჰაერს და, აღტაცებითა და მადლობის გრძნობით აღსავსე, ამ წუთებში იგი მზად იყო გმირული საქმეებით ესახელებინა ეს მშვენიერი, ცეცხლოვანი და საუცხოო ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა პავლიკ მოროზოვი, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე შესწირა იმას, რომ ამ ქვეყანაზე ყოველთვის ყოფილიყო ასეთი საღამოები, რომ არავის გაებედა, წაერთმია ბავშვებისთვის ეს ბედნიერება, ეს ყვავილები, არ გაებედა, ჩაექრო პიონერთა კოცონის ზეიმით მოგიზგიზე ალი.

თარგმნა **მ ტყემალაძემ**



ვერხვის
ჭალაში

სოსო იორამაშვილი

მხატვარი ვ. ბელეცკაია

მოთხრობა

ოქტომბრის მიწურული იყო. შვებულებაში ვიყავი. მდინარის გაღმა ჭალის პირებში გავედი სანადიროდ. ნაპურალებში გადამფრენ მწყრებს წავაწყდი და ვიდრე მზე კარგად მოხურდებოდა, სროლით გული ვიჯერე. ისეთი იღბლიანი ნადირობა კარგა ხანია აღარ შემხვედროდა. ნასიამოვნები ვიყავ, მხოლოდ ისა მწყინდა, რომ თან არავინ მახლდა და ჩემს კმაყოფილებას ვერავის ვუზიარებდი.

დილის ნადირობის შემდეგ წყაროზე ჩავედი, წყურვილი მოვიკალ, ხელპირი დავიბანე და პატარა გაბუჩქულ თელის ჩრდილში მცირე საუზმე გავშალე. თან შევექცეოდი, როგორც მარტოხელა კაცს შეეფერება, თან ირგვლივ ნაცნობ ადგილებს ვათვალიერებდი... ამ დროს ჩემი მზერა უცებ მდინარის მარცხენა ნაპირზე ვერხვის ჭალიდან აფრენილმა მტრედმა მიიპყრო. იგი ჯერ ჭაერში დატრიალდა, ჭალის თავზე კამარა შეჰკრა, რამდენიმე წრე გააკეთა და შემდეგ მდინარისაკენ წამოვიდა, გაშლილ რიყეზე დაჯდა და წყლის სმა დაიწყო. მერე ისევ აფრინდა, პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და თანდათან სიმაღლეს იღებდა...

მე თოფს წამოვავლე ხელი, მოვიმარჯვე და რომ მომიახლოვდა, ვესროლე. მტრედი ჩამოვარდა. ჩემმა ბათურამ იგი უცებ მომირბენინა. ძაღლს ნანადირევი ჩამოვართვი და ის იყო უნდა შემექო პირუტყვი, მივალერსებოდი, რომ უცებ განცვიფრებული დავრჩი:

მტრედს ფეხზე ლითონის პატარა ჟეტონი ება... ეჭვი არ იყო, რომ იგი საფოსტო მტრედი უნდა ყოფილიყო და ვინანე, რატომ ვესროლე მეთქი, რადგან მონადირეებს აკრძალული გვაქვს ცალკე მიმფრინავ მტრედის მოკვლა. მაგრამ საიდან? ვინ? ვის დასჭირდა? თუმცა ვინ იცის, საზღვარი არც ისე შორსაა! რა არის აქ გასაკვირი? გავიფიქრე და უფრო დავინტერესდი.

ჯიბის პატარა დანით ადვილად ავხსენი ჟეტონი. შიგ როგორც მოველოდი, დაკეცილი, თხელი კალკის ქაღალდი აღმოჩნდა, რომელზედაც რაღაც პირობითი ნიშნები იყო აღნიშნული და რამდენიმე სიტყვაც ეწერა ლათინურად.

ცხადი იყო, მტრედს ჩვენი ქვეყნის რომელიმე მნიშვნელოვანი ობიექტის გეგმა მიჰქონდა სამხრეთის საზღვრების გაღაღმა, და იმ წუთს მდინარის მარცხნივ ვერხვის ჭალას გავხედე. იქ აფრინდა მტრედი, ან ააფრინა ვიღაცამ. იქნებ ის ვიღაცაა ახლა იქა ზის და მითვალთვალებს. ან შეიძლება

იბეჭდება შემოკლებით.

მტრედი უფრო ღრმა შუაგულიდან მოდის. ამ ჭალაში კი მხოლოდ დაისვენა. ვინ იცის? ორივე შემთხვევაში ის ჭალა უნდა დავზვერო მეთქი, გავიფიქრე და მაშინღა გამახსენდა, რომ მთელი ვაზნები დილას მწყრებს მივაწვი.

სავაზნეში ორი ცალი ნამტყუნები და სამი ცალი წესიერი ვაზნაღა დამრჩენოდა. ეს იყო და ეს მთელი ჩემი საბრძოლო არსენალი, რომლის იმედითაც ადვილი არ იყო საეჭვოდ დადუმებული ვერხვნარის დაზვერვა; და აზრი შევიცვალე, რადგან რომ ჩავუკვირდი, საქმე უფრო სერიოზულად მომეჩვენა, ვიდრე იგი პირველად მეგონა.

თუ დავუშვებდი, რომ ის ვიღაც ბოროტმოქმედი ისევ ჭალაში იმყოფებოდა, გამომჟღავნების რიდით და კვალის დაფარვის მიზნით, იგი აუცილებლად ინატრებდა ჩემს იქ მისვლას და ჩასაფრებული თავისუფლად მომსპობდა ფიზიკურად. ჩემთვის კი სრულებით არ იყო საჭირო მისი მოკვლა. უკეთეს შემთხვევაში სასურველი იყო მისი ცოცხლად შეპყრობა. ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მე არახელსაყრელ პირობებში მაყენებდა ძალაუნებურ მოწინააღმდეგესთან. უფრო მეტიც: მე შემეძლო სულაც არ გავსულიყავ იმ ჭალაში და ჩემი გზით წავსულიყავ, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში მხედველობის არედან არ მომიშორებდა. თუ იქ გასვლას არ ვიფიქრებდი, თვითონ გამოვიდოდა ჩემსკენ და უსათუოდ თავს დამესხმოდა, აშკარად თუ არა, ფარულად მაინც.

ეს რომ გავიფიქრე, შიშმა ამიტანა: ვინ იცის, აი სწორედ ახლა მიზანშიც ვყავარ ამოღებული მეთქი, და სწრაფად წამოვხტი. თოფმომარჯვებული, აქეთ-იქით თვალების ცეცებით ბუჩქებში შევერიე; თან ბარდებს ვეფარებოდი და თან ვერხვის ჭალას მხედველობიდან არ ვუშვებდი. ჭალიდან ისევ არაფერი ნიშანი არ იყო.

ნახევარი საათის განმავლობაში ვათვალიერებდი იქაურობას და მერე მომწყინდა. ბოლოს შემრცხვა კიდეც. რა არ გავიფიქრე და წარმოვიდგინე! რის ჯაშუში! რა ჯაშუში! მტრედი ალბათ ჩვენი რომელიმე სამხედრო ნაწილის მოკავშირეებისაა და ბიჭები ვარჯიშობენ მეთქი. ეჭვი ლამის თავიდან მოვიცილე, მით უმეტეს ისეთი მშვენიერი ამინდი იდგა: ირგვლივ ველებზე ტრაქტორების ბუბუნი მოისმოდა, მაყვლის ბარდებში შაშვები გალობდნენ, მზემაც აიწია საშუადღეოზე და დასიცხული ძერები ზანტად ლივლივებდნენ გაყუჩებულ ჰაერში, გასაგრილებლად.

ის იყო უნდა გავცლოდი ბუჩქებს და რიყეზე გავსულიყავ, რომ ვერხვის ჭალიდან ერთი კაცი გამოვიდა. ცოტა ხანს იმ ადგილისაკენ დაიწყო ცქერა, სადაც მე ვისაუზმე და მერე ისევ ჭალაში შებრუნდა.

აჰა! აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. მაშ ტყუილად არ შევშინებულვარ. თურმე ის ნამდვილად მელოდება ჭალაში, მაგრამ ვერ მივართვი. რა სწორად მოვიქეცი, რომ ჭალის დასათვალიერებლად არ წავედი. ხომ ზედ წავაწყდებოდი ჩასაფრებულს.

არ ვიცი შიშისა თუ სიხარულის გამო (მგონი ორივე იყო), ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო: ახლა მე ვიყავ უკეთეს მდგომარეობაში: მე ვიცოდი მისი ადგილსამყოფელი, ის კი ნახევარი კილომეტრის დაშორებით მეძებდა.

ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რომ მას არ დავენახე. ასეთი ხალხი თითქმის ყველა შესანიშნავი სნაიპერია და თუ ერთი თვალი მოეკრა ჩემთვის, ტყვიას შიგ შუბლში მომაჭედებდა.

ბათურა ასეთი შემთხვევისათვის ზედმეტი იყო. უფრო მეტიც—ძალიან სუსტი მხარე იყო ჩემთვის. მას შეეძლო უნებურად გავემხილე. მაშინ ადვილად მომაგნებდა ვერხვის ჭალის საეჭვო ბინადარი. ეს რომ არ მომხდარიყო, სანადირო ჩანთა და ნანადირევი დავაწყე ერთ მოფარებულ ადგილას და ძაღლს ვუბრძანე, არ მოშორებოდა მათ.

ძაღლი ჩვეულებისამებრ დამემორჩილა, ჩემს ნივთებს გვერდით მოუწვა და საყვედურის თვალით გადმომხედა, თითქოს მეუბნებოდა:—განა არ ვიცი, რისთვისაც მოიგონე ეს ხერხი, ჩემი წაყვანა არ გინდა, თორემ როდის იყო, სანადირო ჩანთას სადმე სტოვებდი და სანადიროდ უჩემოდ მიდიოდიო.—მაგრამ ბრძანება მაინც უყოყმანოდ შეასრულა და მე რომ ჩირგვებში შევერიე, იგი გულმოდგინედ მოერთხო ჩანთის გვერდით.

ახლა მეც თავისუფალი ვიყავი. ძაღლი ხელს ველარ შემიშლიდა. მხოლოდ უბრალოდ მოფიქრებული მარტივი გეგმა უნდა განმეხორციელებინა. ამისთვის კი საჭირო იყო უცნობის გამოტყუება მდინარის იმ მხარეზე, საითაც ვიმყოფებოდი. ის რომ ჩემს ძებნაში იქნებოდა გართული, მე მას ჩასაფრებული სადმე, მოულოდნელად უნდა დავსხმოდი თავს და დამეჭირა.

მე რომ ვაზნები ბლომადა მქონოდა, არც დავფიქრდებოდი; ბუჩქების სიღრმეში რამდენჯერმე გავისროდი თოფს, ვითომ ნადირობა ისევ განვაგრძე და ის უცნობი თუ ისევ იქ იყო, ჩემს მხარეზე გადმოვიდოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ავღნიშნე, სულ სამი ცალი ვაზნა მქონდა და ძნელი იყო მოსატყუებლად მათი დახარჯვა, ვინ იცის, როგორ დამჭირვებოდა.

კიდევ დიდხანს ვათვალიერებდი ვერხვის ქალას, მაგრამ უცნობი აღარ გამოჩნდა. მეტი გზა აღარ იყო: გადავწყვიტე შემეწირა ჩემი მოსაზრებისათვის ერთი ვაზნა მაინც. მით უმეტეს, პირდაპირ შესაბმელად არ კმაროდა იგი. ქალის სამხრეთით გავედი, ისევ იმ ნაპურალებში, სადაც დილასა ვნადირობდი, და მოფარებულმა თოფი ვისროლე. შემდეგ, გულის დასაჯერებლად, გადმოვჭერი ბუჩქები სასწრაფოდ და ვერხვის ქალას გავხედე. გავხედე და თვალებს არ დავუჯერე: იმ უცნობს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ქალიდან გამოიხედა, ფეხთ გაეხადა და აჩქარებული ნაბიჯით მოსტოპავდა წყალს შხაპაშხუპით.

ნაპურალებში გასვლამდე ქალას სამხრეთით ღრმა სარწყავი არხი ჩაუდიოდა, რომელზედაც ერთ ადგილს პატარა საცალფეხო ხის ხიდი იყო გადებული და არხზე გადასასვლელი ყველა ბილიკი ამ ხიდთან იყრიდა თავს. ცხადი იყო, ის უცნობი იმ ხიდს არ ასცდებოდა და არავითარ შემთხვევაში არხში არ გასტოპავდა. ამიტომ მეც სწორედ ხიდის გადასასვლელთან, კატაფშატას დაბურულ ბუჩქებთან მკლავის სიმსხო მარგილი მოვიმარჯვე და ჩავსაფრდი, გატენილი თოფი კი ყოველ შემთხვევისათვის იქვე მივაყუდე.

მოლოდინში გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ყურები მიშუოდა. თან ეჭვმა შემიპყრო: ვინ იცის ამ ოჯახქორს, ვიღაც არის, ჩემს მიერ მოკლულ საფოსტო მტრედთან არაფერი კავშირი არა აქვს, მე კი აი, ახლა რას ვუპირებ მეთქი. მაგრამ, რომ გამახსენდა თუ როგორ გამოშხვიპა მდინარე თოფის ხმის მიმართულებით, ის ფიქრი უმალ თავიდან მოვიცილე; კეტს ხელი მოვუჭირე და ბუჩქებიდან გავყურებდი ხიდისაკენ მიმავალ ბილიკთა ხლართებს.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, მაყვლის ბარდებს შუა მომავალ ბილიკზე გამოჩნდა ყავისფერი ტყავის ტუჟურკიანი კაცი, რომელსაც სამხედრო ყაიდაზე შეკერილი იმ ფერისავე ტყავის ქუდი ეხურა. მაღალყელიანი ჩექმებით ფრთხილად მოაბიჯებდა და აქეთ-იქით გაფაციცებით იცქირებოდა. საეჭვო აღარაფერი აღარ იყო. იგი უსათუოდ მე მეძებდა... და არა უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის, არამედ მოსაკლავად. ამაშიც მალე დავრწმუნდი.

მკერდთან ირიბად ჩაჭრილ ტუჟურკის ჯიბეში ჩაყოფილი მარჯვენა ხელი პირველადვე საეჭვოდ მომეჩვენა, მაგრამ გადასასვლელთან რომ მოატანა, მან იქიდან მართლაც პარაბელუმი ამოიღო და წამოვიდა.

ახლა უკვე აშკარა მტერთან მქონდა საქმე. მხოლოდ ერთი რამ მაინც მაღელვებდა. მოსაკლავად რომ მდომებოდა იგი, ოდნავაც არ დავფიქრდებოდი, მტაცებელ ნადირსავით საფარიდანვე ვესროდი თოფს და გავათავებდი; მაგრამ მე ხომ ეს არ მინდოდა! მისი ცოცხლად დაჭერა კი არც ისე ადვილი საქმე იყო. ტუჟურკიანმა რომ ხიდს მოატანა, რაღაც უჩვეულო ჟრჟოლამ ამიტანა და რაც შემეძლო სუნთქვაშეკავებული კბილებს ერთმანეთს ვაჭერდი. მან ხიდი სწრაფად გადმოირბინა და ნაპირზე შეჩერდა. მე ერთი წუთით მომეჩვენა, რომ უცნობმა შემამჩნია და რევოლვერი ჩემსკენ წამოიღო დასამიზნებლად. ის იყო თოფს უნდა წავწვდომოდი და დამეხლია, რომ შევატყვე, იგი თვალით ისევ შორს მეძებდა. ისევ განვაგძე გატრუნული დგომა. სუნთქვაც კი შევაჩერე, მხოლოდ გულს ისე გაჰქონდა ბაგა-ბუგი, რომ მეშინოდა ბუჩქების მეორე მხარეს მდგომსაც არ გაეგონა და არ შემოტრიალებულიყო ჩემსკენ. მაგრამ მან რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა წინ და ისევ შორს განაგრძობ-

და ჩემს ძებნას. აი, ერთი ნაბიჯიც და უკვე შეიძლება მივწვდე...

ფრთხილად, არ აჩქარდე, ვეუბნები ჩემს თავს. თან კეტს მაღლა ვწევ. ვემზადები. აჰა, გამისწორდა კიდეც—და დავუშვი კეტი იმ ადგილას, სადაც კისერი მხრებს უერთდება. უცნობმა რაღაც ბოყინის მსგავსი ბგერა ამოუშვა, წაბარბაცდა, ჩემსკენ უნდოდა შემოტრიალება, მაგრამ მეორედაც მივუნაცვლე კეტი და უკვე ძალა აღარ ეყო. რევოლვერი ხელიდან გაუვარდა და თვითონაც ბილიკზე ჩაიჩოქა.

ვიდრე მოსულიერდებოდა, სათევზაო ჩანგლებისაგან წინდაწინვე განთავისუფლებული მსხვილი კანაფით სასწრაფოდ ხელები ზურგსუკან გავუკარი და ფეხებიც გავუბორკე. შემდეგ ჯიბეები გავუჩხრიკე და უცნობს ტუჟურკის გულისჯიბეში მეორე პარაბელუმი და ერთი ბებუთიც ვუპოვნე.

აჰა! არც ისე ტყუილად შემშინებია. მაგრამ ახლა უკვე აღარაფერი იყო საშიში. მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ კეტის დარტყმა ძალიან ხომ არ მომივიდა და ჩემგან უმძრახად არ წავიდეს საიქიოს მეთქი.

სასწრაფოდ სანადირო ჩანთის მოსატანად გავიქეცი და შემდეგ წყლით უნდა მომესულიერებინა, მაგრამ როდესაც დავბრუნდი, უცნობი უკვე გონს მოსულიყო და ხელფეხგაკრული წამოსადგომად ცოდვილობდა. ბათურამ რომ ასეთ მდგომარეობაში დაინახა, წკმუტუნი და ცივი ხმით ყეფა მორთო, თან გარშემო ურბენდა. მე ძაღლი მოვაშორე და ახლოს მივედი მწოლიარესთან. მას ტკივილებისაგან სახე დაღრეჯოდა, მაგრამ მაინც ნაძალადევი სიმშვიდით შემომხედა და მომმართა სუფთა რუსული ენით, ოღონდ თათრული აქცენტით.

— ვინა ხარ კაცო! რა გინდა ჩემგან, რად მკლავ? მონადირე ხარ, თუ ბანდიტი?

ჩვენ ორში რომელია ბანდიტი ამასაც მალე გავიგებთ. აბა, ერთი ზეზე აბრძანდით მეთქი, და ფეხები გავუთავისუფლე. კანაფს რომ ვუხსნიდი, უცნობის ხარივით დიდ თვალებში რაღაც ბოროტი ელვა გაიკლაკნა და ხელები რომ თავისუფალი ჰქონოდა, უსათუოდ მეცემოდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ რბილად მკითხა:



რევოლვერი ხელიდან გაუვარდა და ბილიკზე ჩაიჩოქა.

— ამხანაგო! რა გინდა ჩემგან? მაინც ვინა გგონივარ, ასე რომ მექცევი?

— ვინც მგონიხარ, ეს ჩემი საქმეა. მხოლოდ, რა თქმა უნდა, უმჯობესია შენ თვითონ მითხრა ვინც ხარ ნამდვილად. თუმცა ახლა თუ არ მეტყვი, არც მაგას აქვს დიდი მნიშვნელობა. წავიდეთ, ალბათ იქ იტყვი!— ვუთხარი და ხელი სოფლისაკენ გავიშვირე, რომელიც სამიოდე კილომეტრზე მდებარეობდა ჩვენგან.

— იცი რა გითხრა?—მომმართა უცნობმა, ახლა უკვე გამოცვლილი ტონით და ზეზე წამოდგომა არც უფიქრია.—მოკლედ მოვჭრათ! რამდენი გინდა? კაცი ვერ გისაყვედურებს, რომ ჩემი განთავისუფლებით ცუდი რამ ჩაიდინე. პირიქით, თუ ჭკუას მოიხმარ, კაი გვარიან თანხას მიიღებ. იქ რომ მიმიყვანო, არაფერსაც არ მიიღებ...

შებორკილი კაცისადმი ხელის შეხება, ვინც უნდა იყოს იგი, დიდი ვაჟკაცობა არ არის, მაგრამ მისმა სიტყვებმა მოთმინებიდან გამომიყვანეს და ერთი სილა ვაჭამე. თან მტკიცედ ვუბრძანე, რომ ამდგარიყო და გამძღოლოდა სოფლისაკენ, თორემ იქვე ძაღლსავით მოვკლავდი.

იგი გაქირვებით წამოდგა. ნაჩვენები გზით წავიდა და იმავე ტონით განაგრძო:

— სულელი ყოფილხარ! აბა რა უნდა გელაპარაკო?.. მე კი შენს ადგილზე ისე მოვიქცევოდი, როგორც გეუბნები.

* * *

ომგადახდილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სწრაფად გაითვალისწინა საქმის სერიოზულობა და მიუხედავად იმისა, რომ მანქანა სიმინდის საზიდად უნდა გაეგზავნა და თვითონაც აუარებელი საქმეები ჰქონდა, სწრაფად ჩაგვსხა მანქანაში მე და ჩემი ტყვე და ერთ საათში რაიონის ცენტრში ამოვყავით თავი.

უშიშროების სამინისტროს რწმუნებულს ყველაფერი ავუხსენი, რაც ამბავი გადამხდა ვერხვის ქალასთან. ორივე რევოლვერი, ბებუთი, გეგმა, თვით მკვდარი მტრედიც ქეტონიანად ჩავაბარე და თითქოს დიდი ტვირთი მომეხსნაო, ისეთი შვება ვიგრძენი.

სადგურამდე მსუბუქი მანქანით გამაცილეს და გამაფრთხილეს, რომ ჯერჯერობით ამის შესახებ არავისთან არაფერი წამომცდენოდა. ისიც მითხრეს, თუ საჭირო გახდა, ამ საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება კიდევ შევხვდეთო.

* * *

გამითავდა შვებულება. მუშაობაში გადიოდა დღეები, მაგრამ იმ ამბის შესახებ არაფერი ისმოდა. დამივიწყეს ნამდვილად,— ვფიქრობდი ჩემთვის. წარმოიდგინეთ მონადირის მდგომარეობა: ერთი კურდღელი რომ მოჰკლას, მთელ ნაცნობებს შეჰყრის, გააზვიადებს, ერთის მაგივრად შეიძლება ხუთი კურდღლის მოკვლა დაიჩემოს და ბოლოს თვითონვე სჯერა, რომ დიდი რამ ჩაიდინა. ასეთია მონადირის ფსიქოლოგია... მე კი ნამდვილად არც თუ ისეთი უმნიშვნელო თავგადასავალი გადამხდა, მაგრამ იძულებული ვიყავ, ამის შესახებ კრინტიც არ დამეძრა სადმე.

ბოლოს, როგორც იქნა გავახსენდი. ერთ დღეს ჩვენმა საქმის მწარმოებელმა მოსაწვევი ბარათი დამახვედრა, უშიშროების სამინისტროში მიბარებდნენ. გამეხარდა. ზუსტად დანიშნულ დროზე გამოვცხადდი. კაბინეტში ასე დაახლოებით ორმოცდახუთი წლის, ჩასკვნილი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პოდპოლკოვნიკი იჯდა. მან თავითფეხებამდე ჩამათვალიერა უხმოდ, შემდეგ ჩემი ვინაობა დამადასტურებინა და მთხოვა დავმჯდარიყავი. მე გულისძგერით ველოდი რას მეტყოდა. იგი ისევ განაგრძობდა ჩემს მზერას, ბოლოს გაიღიმა და მითხრა:

—შენ დაიჭირე მოსაზღვრე სახელმწიფოს ერთი მეტად გაიძვერა ჯაშუში. რა თქმა უნდა, ის ჩვენ არ გაგვსხლტომია. ჩვენ ყველაფერი ვიცოდით მისი მოქმედების შესახებ, თვალს ვადევნებდით მტრის საქმიანობას და ის გეგმაც შეგნებულად ჩავუგდეთ ხელში, რომელიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაგრამ მესაზღვრეები მაინც აღტაცებულნი არიან შენი მოხერხებული მოქმედებით და გულწრფელ მადლობას გითვლიან. გვიმრავლოს შენისთანა მონადირეები! ბარაქალა, ამხანაგო, ყოჩაღ!

ალბათ კიდევ ბევრ ქებას შემასხავდა, მაგრამ ლაპარაკში როგორღაც წამომცდა: სამამულო ომის დროს მზვერავთა ასეულს ვმეთაურობდი მეთქი და პოდპოლკოვნიკმა გაკვირვებით შემომხედა:

— აჰა! კიდევაც იმიტომ. მეც არ გამიკვირდა! საქმეს რომ ვეცნობოდი, აღტაცებაში მოვდიოდი; ვინ უბრალო მონადირე და ვინ ასეთი მოხერხებულობა მეთქი. სხვანაირად სირცხვილიც იყო, შენ უსათუოდ ასე უნდა გემოქმედნა.

რა ვიკითხოთ

იაკობ გოგებაშვილი
მოთხრობები
საბლიტგამი
1951

იაკობ გოგებაშვილი — „მოთხრობები“

„საბლიტგამმა“ გამოსცა იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები, რომელშიც ორმოცზე მეტი პატარა მოთხრობაა შეტანილი.

დიდი ქართველი პედაგოგი, „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი თვალსაჩინო საბავშვო მწერალიც იყო. მის კალამს ეკუთვნის ბევრი საბავშვო მოთხრობა, რომელსაც დღესაც დიდი ინტერესით კითხულობენ ნორჩი მკითხველები.

კრებულში შეტანილი მოთხრობების თემა მრავალფეროვანია. ბავშვთა მეგობრობას ეხება მოთხრობა „თავის განწირვა“. ორი ყმაწვილი ერთმანეთს გადაკიდებული იყო. ერთხელ ბავშვებს მდინარის პირას ჩხუბი მოუვიდათ. იმდენი იჩხუბეს, რომ თავბრუ დაეხვიათ და ერთი მათგანი წყალში გადავარდა. ბავშვმა ცურაობა არ იცოდა და დაღუპვა მოელოდა. მეორე ყმაწვილმა ჩინებული ცურვა იცოდა. უმალ ტანთ გაიძრო, წყალში გადახტა და თავისი მეტოქე გადაარჩინა. ამ დღიდან ეს ორი ბიჭი გულითადი მეგობრები შეიქნენ.

დამრიგებლობითი ხასიათის მოთხრობაა „სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს“. პატარა სანდრო ძალზე ზარმაცი იყო, მშობლებმა და მასწავლებლებმა ყველა საშუალება იხმარეს, მაგრამ მოუსვენარ ბიჭს ვერ შეაყვარეს სწავლა. ერთხელ პატარა სანდროს სახლთან მოხუცი მათხოვარი მივიდა. მათხოვარმა უამბო ცნობისმოყვარე სანდროს, რომ ერთ დროს ისიც სკოლაში დადიოდა, მაგრამ სიზარმაცის გამო სკოლა ვერ დაამთავრა. სკოლაში სიზარმაცეს მიჩვეულმა ვერც სკოლის გარეთ მოჰკიდა რაიმე საქმეს ხელი და მათხოვრობა დაიწყო. გლახის სიტყვებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სანდროზე. ამ დღიდან იგი ბეჯითი მოწაფე გახდა. ამ პატარა მოთხრობაში მწერალს ისეთი ოსტატობით აქვს გადმოცემული ნასწავლი ადამიანის უპირატესობა უსწავლელზე, რომ ნორჩი მკითხველისათვის ნათელი ხდება სწავლის აუცილებლობა.

კრებულში შეტანილი მოთხრობების უმეტესი ნაწილი საბუნებისმეტყველო თემას შეეხება. მწერალი დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერს ფრინველებს, მცენარეებსა და ბუნების მოვლენებს.

მოთხრობა „ჭრიჭინა“ ასე იწყება. ერთ სახლში ბუხრის გვერდით ჭრიჭინამ ბუდე გაიკეთა და თავისი მხიარული ჭრიჭინი გააბა. ბავშვებს ჯერ არ გაეგონათ ჭრიჭინას ხმა, ამიტომ ეგონათ, რომ ბუხარში ჩიტი შემძვრალა და ის გალობსო. ბავშვები დიდებისაგან გაიგებენ, რომ უცნაური, „ჩიტი“ ჭრიჭინა იყო. ამის შემდეგ კი მწერალი უშუალოდ გადადის ჭრიჭინას აღწერაზე. ასევეა დაწერილი მოთხრობა „ჭინჭარი“, „აბრეშუმის ჭია“, „ღამურა“, „ნამი“ და სხვ.

ი. გოგებაშვილის მოთხრობები დაწერილია მშვენიერი ქართული ენით. მასში ნათლად ჩანს ქართული ენის სიმდიდრე და სურათოვნება. წიგნი მშვენივრად არის გაფორმებული და ზის მაგარ ყდაში.

ყველა პიონერმა, ყველა მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ეს ძვირფასი წიგნი.

ივ. ურჯუმელაშვილი



„თბილისის ისტორია“

თითოეულ პიონერს ძალზე უყვარს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი. ყველას გულს ახარებს სოციალისტური თბილისის ზრდა და განვითარება, მისი გარდაქმნა და აყვავება. საყვარელია და სასახელო თბილისის წარსულიც. ახალი თბილისის უკეთ გასაცნობად, ახალ მშენებლობათა რელიეფურად გამოსაჩენად და მომავლის ჯეროვნად გასააზრებლად, საჭიროა თბილისის ისტორიის შესწავლა. ამ მხრივ პიონერებს დიდ დახმარებას გაუწევს „საბლიტგამის“ მიერ ახლახან გამოცემული წიგნი „თბილისის ისტორია“. ეს მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომი ეკუთვნით ისტორიკოსებს დავით გვრიტიშვილსა და შოთა მესხიას.

თბილისის შესახებ მრავალი წიგნი დაწერილა, მაგრამ არც ერთ მათგანში არ არის ქალაქის ისტორია წარმოდგენილი და განხილული ისე ყოველმხრივ, როგორც აღნიშნულ შრომაში.

წიგნის ავტორებს გადმოცემული აქვთ თბილისის წარსული მისი დაარსების დროიდან ვიდრე XIX საუკუნის დამდეგამდე. ვრცლადაა მოთხრობილი თბილისის ისტორიული თავგადასავალი. მკითხველი გაიგებს თუ როგორ იბრძოდა საუკუნეთა მანძილზე

ქართველი ხალხი ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, როგორ იგერიებდა მრავალრიცხოვან მოძალადეთა, ველურ დამპყრობთა მომთაბარე ურდოებს.

თბილისის პოლიტიკური ისტორია გადმოცემულია წიგნის ორ თავში („ქალაქ თბილისის წარმოშობა", „თბილისის თავგადასავალი"). მომდევნო თავში აღწერილია ქალაქის ტერიტორია და გარეგანი სახე (უბნები, თავდაცვითი ნაგებობანი და სხვ.). განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ავტორები საკმაო სისრულით გვიდგენენ ქალაქის ეკონომიური, სოციალური და კულტურული ვითარების სურათს. შრომის უკანასკნელ,—მეშვიდე,— თავში დახასიათებულია თბილისის მმართველობა და საქალაქო წესწყობილება.

საკითხების გასაშუქებლად ავტორები იყენებენ როგორც ნაბეჭდ წყაროებს, ისე საარქივო მასალებსაც. ამიტომ შრომაში მრავალი ახალი ცნობაა მოცემული.

ავტორებს წიგნი დიდი სიყვარულითა და საქმის სათანადო ცოდნით დაუწერიათ. იგი დიდი ინტერესით იკითხება და მკითხველთათვის ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს.

პიონერებო, აუცილებლად წაიკითხეთ „თბილისის ისტორია", ღრმად შეისწავლეთ თქვენი საყვარელი ქალაქის ისტორიული თავგადასავალი.

ლევან მენაბდე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

,,წინაპართა ნაკვალევი''

ჩვენს სამშობლოს—საბჭოთა საქართველოს დიდი ისტორიული წარსული აქვს. ჩვენი წინაპრები ხეთურ-იბერული ტომები იყვნენ. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საკაცობრიო კულტურის განვითარებაში. პირველად ამ ტომებმა ისწავლეს ლითონის გამოდნობა, შექმნეს დამწერლობა, განავითარეს მიწადმოქმედება, საფუძველი ჩაუყარეს საქალაქო და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

წინაპართა ნაკვალევი

ქართველი ტომების უძველესი ცხოვრების მაუწყებელი წერილობითი ცნობები ცოტაღა გადარჩა. ეს ნაგლეჯ-ნაგლეჯი ცნობები საკმაო არ არის ერის გაბმული, მთლიანი ისტორიის აღსადგენად. არქეოლოგებმა, რომელნიც პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღებით სარგებლობენ, დიდძალი ძეგლები შეისწავლეს. მათ შესძლეს მშობლიური ისტორიის ბევრი დაკარგული ფურცლის აღდგენა. ბუნებრივია, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეკიდება კაცობრიობის კულტურის შორეული წარსულის შესწავლას.

ამ მხრივ ფრიად სასარგებლო წიგნია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ლომთათიძის ნაშრომი „წინაპართა ნაკვალევი", რომელიც ახლახან გამოსცა „საბლიტგამმა".

ნაშრომი ხუთი თავისაგან შესდგება. შესავალ ნაწილში მკითხველს თვალწინ გადაეშლება არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის სურათები: რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მხცოვანი თუ ახალგაზრდა მეცნიერები თხრიან ქვის ხანის ადამიანთა სადგურ-გამოქვაბულებს, სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის გორამიწებს (ყორღანებს), სხვადასხვა დროის სამარხებს, ნასოფლარებს, ნაქალაქრებს, ციხე-სიმაგრეებს...

მეორე თავში მკითხველი ეცნობა არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიას. ამ ნაწილიდან ნორჩი მკითხველი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ნაშრომის იმ ადგილებს, რომლებიც გვაცნობენ უცხოელ მკვლევართაგან საქართველოს ისტორიის გაყალბების ფაქტებს და მეფის რეჟიმის მიერ ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე აღმართულ ზღუდეებს.

ქართული არქეოლოგიური ძეგლების უდიდესი ნაწილი საბჭოთა პერიოდშია შესწავლილი. ამ ძეგლების დახასიათებას მიეძღვნა გ. ლომთათიძის ნაშრომის III-V თავი. აქ განხილულია თრიალეთში, ტყვიავში, სტალინირში, კიკეთში, სამგორში, საჩხერეში, ლებში, ვანში, რუსთავში, უჯარმაში, თბილისში და სხვა ადგილებში ამომზეურებული ნაგებობანი, სამარხები, სახელოსნოები. აქაა ქართული კულტურის უბადლო ძეგლები: ძვირფასი ქვებით შემკობილი ოქროს თასები, ნაირ-ნაირი სურათებით მოხატული ვერცხლისა და თიხის ჭურჭელი, ქანდაკებანი... ზემო რაჭაში აღმოაჩინეს მაღაროები და მადნის სადნობები, რომლებიც მოწმობს ქართული მეტალურგიის უძველესობას; მცხეთის გარეუბნებმა: ბაგინეთმა და არმაზისხევმა თავი ისახელეს თლილი ქვით ნაშენი უზარმაზარი ნაგებობებით. რუსთავში აღმოჩნდა ქალაქის ნაშთები.

მონაპოვარი მასალა მოწმობს ქართული კულტურის სიძველესა და თავისთავადობას. ყოველი ძეგლი წარმოადგენს განვითარებული გემოვნების ნაყოფს. ძეგლების შესწავლას მკვლევარები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ქართველმა ხალხმა პირველყოფილი თემური წყობილებიდან დღემდე შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო.

ასეთი თანმიმდევრობით გვაცნობს გ. ლომთათიძე საქართველოში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას. გზადაგზა იგი მოგვითხრობს უცხოელ დამპყრობთა შემოსევებზე და ჩვენი ხალხის საგმირო საქმეებზე. ყოველივე ეს ნაშრომში მოხერხებულადაა ჩართული. გ. ლომთათიძის ნაშრომი მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენი მოსწავლეების ცოდნას მშობლიური ქვეყნის ისტორიაზე. იგი კარგი საჩუქარია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

გ. გოგეჯიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მოკლედ ყველაფერზე



ახალი კუნძული წყნარ ოკეანეში

ახალ-ჰებრიდის არქიპელაგში (წყნარი ოკეანე), კუნძულებს (ეპი და ტონგოა) შორის დროდადრო ხან ჩნდება, ხან იკარგება ერთი პატარა კუნძული.

1897 წელს ამ კუნძულმა ამოიწია ზღვიდან საკმაოდ მნიშვნელოვან სიმაღლეზე, მერე ისევ თანდათან იწყო ჩაძირვა და გაჰქრა.

1904 წელს კუნძულმა ამოიწია და ზღვის დონეს მხოლოდ 15 მეტრით ასცილდა, 1905 წელს სულ ჩაიმალა და მის ადგილას მხოლოდ დიდი მეჩეჩი დარჩა.

1949 წლის სექტემბერში მეჩეჩის ნაცვლად გაჩნდა ოვალური ფორმის ახალი კუნძული, რომლის ფართობი 1200 კვ. მეტრს შეადგენდა. ამ კუნძულის შუაგულში კრატერი იყო, საიდანაც ყოველ ათ წუთში დიდძალი ორთქლი და კვამლი იფრქვეოდა.

1950 წლის ზაფხულში ვულკანი არ მოქმედებდა. კუნძულმა ზომაში წრიულად 300 მეტრამდე მოიკლო.

ბოთლისებური ხე

ავსტრალიის უზარმაზარი სივრცეები უკავია ბალახით დაფარულ ტრამალებს. გვალვის სეზონში სულ ერთთავად გადაბუგულია ტრამალები. წვიმების პერიოდში კი უხვი ბალახით იფარება. ცალ-ცალკე ან ჯგუფ-ჯგუფად დგანან ტრამალებში ხეები—ევკალიპტები, აკაციები, კაზუარინები. გვხვდება აქ აგრეთვე თავისებური „ბოთლისებური ხე“.

ამ ხეებს გააჩნიათ მთელი რიგი საშუალებები, რითაც ებრძვიან ისინი გვალვას. ევკალიპტსა და აკაციას ვიწრო და ხეშეში ფოთლები აქვთ, კაზუარინი კი სულ უფოთლოა და მისი შტოები სქელ ძაფებს გვანან. ასე იბრძვიან ეს ხეები წყლისათვის.

ბოთლისებური ხე იმარაგებს წყალს წვიმების დროს თავის სქელ, გიგანტური ბოთლის მსგავს ღეროში. ფოთლები ამ ხეს ფართო აქვს, რომლის ქვედა მხარე ღინღლით არის დაფარული. მთელი წლის მანძილზე იგი ფოთლებს იცვლის და ანახლებს.

ბოთლისებური ხე უზარმაზარი იზრდება. ღერო, როგორც ავსტრალიის ტრამალების სხვა ხეებს, შიშველი აქვს. წვიმების პერიოდში ლამაზ წითელ ყვავილებს ისხამს.



გეკო

ცხელ ჰავიან ქვეყნებში არის პატარა ხვლიკი გეკო, რომელიც სახლებში ბინადრობს. იგი მოზრდილი ადამიანის ნეკზე ცოტა უფრო დიდია. გეკოს თათები ისეა მოწყობილი, რომ მას თავისუფლად შეუძლია ირბინოს კედელსა და ჭერზე.

კუნძულებზე — სუმატრა, იავა, ბორნეო, ცეილონი, მალაის არქიპელაგზე, ინდოეთისა და ინდოჩინეთის სამხრეთ ნაწილში გეკო თითქმის ყოველ სახლში ბინადრობს. დღით არ ჩანს, მაგრამ მოსაღამოვდება თუ არა, გამოდის „სანადიროდ“. ზოგიერთ სახლში ათეულობით არის ასეთი ხვლიკი. ისინი დასდევენ მწერებს და იჭერენ თავისი წებოვანი ენით.

გეკო — ერთადერთი ხვლიკია, რომელსაც „ხმა“ გააჩნია. დროგამოშვებით ის გაიძახის ხოლმე „გეკო“, „გეკო“, და აქედან დაერქვა მას—გეკო.

ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც უამრავი მწერი იცის, ამ პატარა ხვლიკებს განუზომლად დიდი სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის.

400 მილიონი შინაური კურდღელი

კურდღელთან ბრძოლა ჯერ ისევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ავსტრალიაში. მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას არ ძალუძს თავი გაართვას ამ გაუმაძღარ ცხოველს, რომელიც ამასთანავე ძალიან სწრაფადაც მრავლდება. საქმეს არ შველის არც მათი სოროების მოსპობა, არც ის, რომ მთელ მატერიკზე, თითქმის 1900 მილზე გადაჭიმულია ბადე.

ავსტრალიაში 400 მილიონი შინაური კურდღელია.

კურდღელი ავსტრალიის ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს, არა მარტო იმით, რომ სპობს ნათესებს და აზიანებს ბაღებს. ძალიან დიდ სახსრებს მოითხოვს აგრეთვე მათთან ბრძოლა — მუშა ხელის დაქირავება და მასალის ხარჯვა, რაც თითქმის არავითარ შედეგს არ იძლევა.

ავსტრალიაში შინაური კურდღელი შეყვანილი იყო პირველად 1859 წელს. იმ დროს ის დიდ ღირებულებას წარმოადგენდა ფერმერებისათვის.

უკვე 1880 წელს კი დაიწყო მათთან ბრძოლა, რაც ამჟამადაც მიმდინარეობს.

„უნაპირო ზღვა“

ასეთი ზღვა მართლაც არსებობს ატლანტის ოკეანეში, ჩრდილო ამერიკის კონტინენტის აღმოსავლეთით. ეს ზღვა გავრცელებულია ჩრდილო განედის 40 და 20 გრადუსებს შორის ერთის მხრივ და დასავლეთ გრძედის 70 და 30 გრადუსებს შორის, მეორეს მხრივ. ოკეანის ამ წრისებური ნაწილის სიგრძე დაახლოებით ხუთი ათას კილომეტრს შეადგენს, ხოლო სიგანე—ორიათას კილომეტრს.

ჯერ კიდევ 1492 წლის სექტემბერში, როდესაც აქ პირველად გაიარა ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდებმა, მეზღვაურებმა შეამჩნიეს უამრავი წყალმცენარეები, რომლებიც დიდად აფერხებდნენ ხომალდების მსვლელობა[illegible]

შემდეგში პორტუგალიელებმა ხშირი წყალმცენარეებით დაფარულ ატლანტის ოკეანის ამ ნაწილს „სარგასის ზღვა“ უწოდეს. წყალმცენარეების დიდი ნაწილი წვრილ ყურძენს—კრიკინას წააგავს; აქედან წარმოსდგა ზღვის სახელწოდებაც. ხშირად ამ ზღვას „ბალახის ზღვასაც“ უწოდებენ.

„უნაპირო ზღვა“ მსოფლიო ოკეანის ერთ-ერთი საინტერესო ადგილია, განსაკუთრებით წყალმცენარეებისნაირსახეობისა და სიმდიდრის მხრივ.

გიგანტური ცხოველი

ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია დედამიწაზე. მისი სიგრძე 33 მეტრს და წონა 120 ტონას აღწევს. ვეშაპის მარტო ხორცი 70 ტონას, ხოლო ცხიმი 20 ტონას იწონის. ამდენი რაოდენობის ცხიმის მისაღებად საჭირო იქნებოდა 80 ჰექტარი ჰიწის დამუშავება და მზესუმზირას დათესვა; ამისათვის კი დაიხარჯებოდა 2.200 შრომა დღე. ამრიგად, ვეშაპის თითოეული ტონა ცხიმი 5-6-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მზესუმზირას ზეთი.



შინაარსი

გვ.
საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობა 2
ა. [illegible]—რეკავს ზარი (ლექსი) . . . . . . გარეკანის 2
რ. [illegible]—სიმღერა (ლექსი) . . . . გარეკანის 2
ა. გაიდარი—P. B. C. (მოთხრობა, თარგმნა ბ. შელიამ) . . 4
ლ. ქიაჩელი—ფიცხი თაობა (მოთხრობა) 10
ი. ციციშვილი—მომავალი თბილისი (წერილი) 15
პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად: პიონერული ორგანიზაცია მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლაში 19
ვ. კატაევი—გმირი პიონერი (წერილი) 20
ლ. კასილი და მ. პოლიანოვსკი—პიონერთა ნაპირი (ნაწყვეტი მოთხრობიდან „უმცროსი ვაჟიშვილის ქუჩა“) . . . 21
ნ. კილასონია—პავლიკ მოროზოვი (ლექსი) 22
ს. იორამაშვილი—ვერხვის ჭალაში (მოთხრობა) 24
ი. ურჯუმელაშვილი—იაკობ გოგებაშვილი—„მოთხრობები“ 29
ლ. მენაბდე—„თბილისის ისტორია“ 29
გ. გობეჯიშვილი—„წინაპართა ნაკვალევი“ 30
მოკლედ ყველაფერზე: ა) ახალი კუნძული წყნარ ოკეანეში, ბ) ბოთლისებური ხე, გ) გეკო, დ) 400 მილიონი შინაური კურდღელი, ე) „უნაპირო ზღვა“, ვ) გიგანტური ცხოველი 31-32
ჭადრაკი . . . . გარეკანის 3

გარეკანის პირველ გვერდზე—„სკოლისაკენ“—ნახატი — გ. ფოცხიშვილისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—„პირველ სექტემბერს“ ფოტოეტიუდი **შ. ჩხეტიანისა**

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **კ. მახარაძის, ი. ბანძელაძის, გ. ფოცხიშვილის** და **ვ. ბელეცკაიას** მიერ.

რედაქტორი **რ. მარგიანი.** პ/მგ. მდივანი **მ. ლებანიძე.** სარედაქციო კოლეგია: **ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, გ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.** სამხატვრო რედ. **გ. ფოცხიშვილი.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Сентябрь № 9 1952.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 14429 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 590 სტამბის შეკვ. № 1086 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ- მანქანაზე.

ჭადრაკი

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით.

ნაპოლეონის გაქცევა მოსკოვიდან

140 წლის წინათ, 1812 წელს, დიდმა რუსმა ხალხმა შესანიშნავი სიმამაცითა და გმირობით დაიცვა თავისი საყვარელი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ. რუსმა მხედრობამ განუწყვეტელი ბრძოლებით დაასუსტა კბილებამდე შეიარაღებული ფრანგთა ნახევარმილიონიანი ლაშქარი და შემდეგ მძლავრი, სასიკვდილო დარტყმებით აიძულა ნაპოლეონი გაქცეულიყო მოსკოვიდან.

გენიალურმა რუსმა მოჭადრაკემ ა. პეტროვმა ჭადრაკის მხატვრული ხერხებით გამოსახა ნაპოლეონის გაქცევა მოსკოვიდან.

აი საწყისი მდგომარეობა:



ნაპოლეონი ჯერ კიდევ მოსკოვშია (უჯრა b1). ხოლო რუსთა ჯარები (თეთრი ფიგურები: ლაზიერი აღნიშნავს მთავარსარდალს, ხოლო მხედრები—რუს ცხენოსნებს) გამზადებული არიან განდევნონ ნაპოლეონი პარიზისაკენ (უჯრა h8). ავტორის აზრით, დიაგონალი h1—a8 აღნიშნავს მდინარე ბერეზინას, სადაც რუსთა არმიამ სასტიკ ბრძოლებში მოსპო მრავალი ათასი გაქცეული ფრანგი ჯარისკაცი.

თამაშს იწყებს მამაცი რუსი მხედრობა, რომელიც ულმობელი დარტყმებით მიერეკება ნაპოლეონს: 1. მf1—d2++ მფb1—a2 2. მe2—c3+ მფa2—a3 3. მd2—b1+ მფa3—b4 4. მc3—a2+ მფb4—b5 5. მb1—a3+ მფb5—a6 6. მa2—b4+ მფa6—a7 7. მa3—b5+ [illegible] 8. მb4—a6+ მფb8—c8 9. მc5—a7+ მფc8—[illegible] 10. მa6—b8+ მფd7—e7 11. მa7—c8+ მფe7—f8 12. მb6—d7+ მფf8—g8 13. მc8—e7+ მფg8—h8 და როცა ნაპოლეონი უკვე თავის სატახტო ქალაქ—პარიზშია, საქმეში ერევა რუსი მეფე და იგებს პარტიას 14. მფh2—g2×.

ამ მაღალმხატვრული ნაწარმოების უკანასკნელ სვლაში ფარული დაცინვაა რუს მეფეზე (ალექსანდრე I-ზე), რომელსაც როგორც ცნობილია 1812 წლის რუსი ხალხის სამამულო ომის მსვლელობაში არაფერი გაუკეთებია გამარჯვების მოსაპოვებლად და მხოლოდ მის შემდეგ რაც მან მთავარსარდლობა კუტუზოვს დაუთმო, ფრანგი ოკუპანტები უკუგდებული და დამარცხებული იქნენ.

☆ ☆ ☆

პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 8-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი მათემატიკურ თავსატეხზე



პასუხი თავსატეხზე



ფასი 2 მან.